პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 29 ოქტომბერი, 1943 წ. № 225 (6850). ფასი 20 კაპ.

დღეს ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავია

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა ახალგაზრდობას — სოციალისტური საშობლოს დასაცავად გმირულად მებრძოლს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიადი პარტიის ერთგულ თანაშემწეს და საბრძოლო რეზერვს — ლენინურ-სტალინურ კომკავშირს!

ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვანი XXV წლისთავი

ლენინურ-სტალინური კომკავშირი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ვითარებაში აღნიშნავს თავის სახელოვან XXV წლისთავს.

მეოთხედი საუკუნის წინათ, მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების სრულიად-რუსეთის პირველ ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა კომკავშირს—ბოლშევიკების დიადი პარტიის ერთგულ თანაშემწეს და საიმედო რეზერვს.

ლენინმა და **სტალინმა** შეჰქმნეს, აღზარდეს, გამარჯვებათა გზით წაიყვანეს კომკავშირი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა და ასრულებს სოციალისტური სამშობლოს დაცვაში. საკ. ალკკ გადაიქცა საბჭოთა ახალგაზრდობის მრავალმილიონიან ორგანიზაციად. მისი ძალისა და ძლიერების დაუშრობელი წყარო მუდამ იყო და არის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, პეტროგრადთან და პერეკოპთან, ცარიცინთან და კახოვკასთან გმირულ ბრძოლებში, სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე, სტალინური ხუთწლედებისათვის თავდადებულ შრომაში, საზიზღარ გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა წინააღმდეგ სამამულო ომში კომკავშირს, საბჭოთა ახალგაზრდობას აღფრთოვანებდა და აღფრთოვანებს ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა. პარტიამ, მთავრობამ, სამშობლომ მაღალი შეფასება მისცეს კომკავშირს. იგი დაჯილდოებულია წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. ეს არის უმაღლესი ჯილდოები, მიღებული გმირული ბრძოლებისა და სოციალისტური შრომისათვის.

კომკავშირი გამოვიდა ინიციატივით დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების საქმეში. დიდი სტალინის მოწოდებით მან მოაწყო ნამდვილი ლაშქრობა მეცნიერებაში.

გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე, ისევე როგორც შრომის ფრონტზე, კომკავშირს სამამულო ომის ვითარებაში არაერთი ძვირფასი ინიციატივა ეკუთვნის. საბჭოთა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში იწრთობოდა და გამოიწრთო ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა. დიდი ლენინი ჯერ კიდევ 1913 წელს ამბობდა: „ჩვენ უკეთ ვიბრძვით, ვიდრე ჩვენი მამები. ჩვენი შვილები იბრძოლებენ კიდევ უკეთ, და ისინი გაიმარჯვებენ“. კომკავშირი წარმატებით ასრულებდა და ასრულებს ლენინის ანდერძს. „კომკავშირი ყოველთვის იყო ჩვენს მებრძოლთა პირველ რიგებში“, — ამბობდა დიდი სტალინი. ამხანაგ სტალინის მიერ ნაჩვენები გზით იმარჯვებდა და იმარჯვებს საბჭოთა ახალგაზრდობა.

სოციალისტური სამშობლოს დასაცავად საკუთარი მკერდით აღსდგა მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა. იგი გმირულად იბრძვის თვითმფრინავის შტურვალთან, ტანკის საჭესთან, ქვემეხითა და ნაღმსატყორცნით. კომკავშირის მიერ არის აღზრდილი 500-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი, რომლებმაც ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში მარადუკვდავი დიდებით შეამკეს დედა-სამშობლოს ღირსების დროშები. მთელი ქვეყანა იცნობს გმირებს, კომკავშირის აღზრდილებს — გასტელოს და ტალალიხინს, მატროსოვს და მოლოდჩის, ადამიას და კოსმოდემიანსკაიას, კოშევოის და კოჩკარ დურდიევს — ჩვენი სამშობლოს ბევრი სახელოვანი შვილი აღიზარდა კომკავშირის რიგებში. საუკეთესო კომკავშირელები არიან ფლოტში, ავიაციაში, წითელი არმიის ნაწილებში.

საბჭოთა ახალგაზრდობა ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულია, ხოციალისტური სამშობლოს მხურვალე პატრიოტია. მისი აღზრდა პარტიამ მიანდო კომკავშირს. ამ ამოცანას კომკავშირი წარმატებით ასრულებს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ განვლილი გმირული გზა, მისი სახელოვანი საქმეები, მისწრაფებანი, მხურვალე პატრიოტიზმი, უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი, მშობლიური ბელადისადმი შესანიშნავად არის დახასიათებული ამხანაგ სტალინისადმი წერილში, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება. ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელსაც ჩვიდმეტ მილიონზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის აზრებსა და საქმეებს გამოხატავს. იგი ჩვენს გულს მძლავრად აძგერებს და ახალი გამარჯვებებისაკენ მოგვიწოდებს მტრის გასანადგურებლად.

„ჩვენს გულს არ ეცოდინება დამშვიდება, — სწერენ საბჭოთა კავშირის კომკავშირელები და ახალგაზრდები დიდ სტალინს, — ვიდრე თუნდაც ერთი გერმანელი სთელავს ჩვენს მიწა-წყალს“.

ეს მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სიტყვაა, ამ დაპირებას შეასრულებს საბჭოთა ახალგაზრდობა. მქუხარე მოწოდებად გადაიქცა კომკავშირული ფიცის ეს მართალი, მგზნებარე სიტყვები:

„ვფიცავთ ლენინურ
დაუშრეტელ სიმართლეს გზნებით,
რომ ჩვენი სისხლის
და სიცოცხლის დაუზოგავად,
მედგარ ბრძოლაში ჩვენ
ერთგული მუდამ ვიქნებით
ბელადის სიტყვის,
საქმისა და ურყევი ნების“.

ამ წმიდა ფიცის თითოეულ სიტყვას იმეორებს და შეასრულებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასთან ერთად, საქართველოს ახალგაზრდობა.

საქართველოს ლენინურმა კომკავშირმა — საკ. ალკკ ერთ-ერთმა უძველესმა რაზმმა მიიღო სტალინური აღზრდის სკოლა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც წლების განმავლობაში სათავეში ედგა ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ საქართველოს ახალგაზრდობა აღზარდა დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. საქართველოს კომკავშირი, მთელი ახალგაზრდობა ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს, რათა ფრონტისადმი დახმარების ყოველმხრივი გაძლიერებით დააჩქაროს ჰიტლერელი ოკუპანტების სრული განადგურება.

საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი სტალინის ბრძანებებითა და წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ახალგაზრდობა ფრონტზე და ზურგში ახალი წარმატებებით აღნიშნავს კომკავშირის სახელოვან XXV წლისთავს.

სალამი ლენინურ-სტალინურ კომკავშირს!

გაუმარჯოს სოციალისტური სამშობლოს ერთგულ საბჭოთა ახალგაზრდობას!

დიდი სტალინის ბრძნული მხედართმოძღვრობით წინ, დასავლეთისაკენ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის!

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ანდონი იდენი

27 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ანტონი იდენი.

საუბარს დაესწრნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კერი და ბრიტანეთის გენერალ-ლეიტენანტი ჰ. ისმეი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

28 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

28 ოქტომბრის განმავლობაში დნეპრის ქვემოწელის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს ცალკეულ უბნებზე 5-დან 20 კილომეტრამდე და დაიკავეს ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრი ნიჟნიე სეროგოზი, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზლატოპოლი, კრასოვიჩი, გოგოლევკა, დემიანოვკა, ნოვო-ალექსანდროვკა, ვერხნიე სეროგოზი, კალგა, სრედნეე, ანოვკა, ვოლკანეშტი, დავიდოვკა.

დნეპრის მოსახვევში, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები ძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის კრასნი სტავი, ოდაროვკა, ნოვო-კალინოვკა, კრასნი პროშინი, პავლოვკა, კრასნი იარი.

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები ძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის ნოვო-სტაროდუბი, ოლიმპიადოვკა, მარიანოვკა, სპასოვო, ფიოდოროშულიჩინო, ბლაგოდატნოე, მოისეევკა, ანასტასიევკა.

ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 5-დან 8 კილომეტრამდე და დაიკავეს ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი სურაჟ-ვიტებსკი, აგრეთვე დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ანდრეევო, დოლგანი, ბოგბროვო, სელო, ბოლშოე და მალოე ზაბოროჩიე, კოვალიოვო-როდკი, კაზანი, ოსტროვსკიე.

ფრონტის სხვა უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საარტილერიო-სანაღმტყორცნო ხროლაა.

27 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 25 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 32 თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის ქვემოწელის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა მოძრავი ნაწილები შეუსვენებლივ სდევნიან და ანადგურებენ მოწინააღმდეგის ჯარებს. 5 შენაერთის ნაწილებმა დღეს დაიკავეს ყამირ-გზების მნიშვნელოვანი კვანძი, ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრი ნიჟნიე სეროგოზი. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 3.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოწინააღმდეგის 11 ტანკი, 25 საარტილერიო ბატარია და 7 თვითმავალი ქვემეხი. ჩვენმა ჯარებმა გერმანელთაგან ხელთ იგდეს დიდი დავლა. რკინიგზის სადგურ პრიშიბში საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დიდი საწყობები საომარ მასალიანად, სურსათიანად და რკინიგზის 250 ვაგონი და პლატფორმა სამხედრო მასალიანად. სადგურ აკიმოვკაში ხელთ ვიგდეთ 190 ვაგონი სამხედრო ტვირთიანად. 5 ნაწილის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგზე, დიდი ზარალი მიაყენეს მას და ხელთ იგდეს 65 ვარგისი ქვემეხი, 21 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, დიდძალი ტყვიამფრქვევი, შაშხანები, ავტომატები, საწყობი საომარ მასალიანად, ნივთსაწყობი, საწყობი საინჟინრო ქონებიანად და სხვა დავლა. წამოყვანილია ტყვეები.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის ჯარების, ავტომანქანებისა და ტექნიკის კოლონები. დამსხვრეული და დაზიანებულია 300-ზე მეტი ავტომანქანა და საზიდარი, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის მოსახვევში, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, 5 შენაერთის მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, გადალახეს მდინარე მოკრაია სურა და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 27 ქვემეხი, 42 ნაღმსატყორცნი და 100-მდე ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა. დასახლებულ პუნქტ პავლოვკის რაიონში ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელთა 46-ე ქვეითი დივიზიის ასეული სრული შემადგენლობით.

* * *

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგეს მოჰყავს ქვეითი ჯარისა და ტანკების ახალი ძალები და არა ერთხელ გადმოვიდა კონტრიერიშებზე. 6 შენაერთის მებრძოლებმა ჰიტლერელთა კონტრიერიშები მოიგერიეს, წინ წაიწიეს და დაიკავეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი. ბრძოლის ველზე დათვლილია მტრის 800-ზე მეტი გვამი. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 12 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ 23 ქვემეხი, 55 ტყვიამფრქვევი, საომარი მასალის საწყობი, საწყობები მარცვლეულიანად, მედიკამენტებიანად და სასანგრო ქონებიანად. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა საარტილერიო პოლკი და ხელთ იგდეს ამ პოლკის მთელი მატერიალური ნაწილი.

* * *

ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები, რომელნიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, მიადგნენ ქალაქ სურაჟ-ვიტებსკის. ეს ქალაქი, რომელიც მდინარე კასპლიასა და ზაპადნაია დვინას შესართავთან მდებარეობს, გერმანელებმა თავდაცვის მძლავრ კვანძად აქციეს. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც მაღლობზეა, გერმანელებმა ააგეს საცეცხლე წერტილები, საიდანაც ესროდნენ ყველა მახლობელ მისადგომს. ქალაქის გარშემო მათ შეჰქმნეს ფართოდ განშტოებული ქსელი სიმაგრეებისა, რომელთაც ნაღმიანი ველები იფარავდნენ. ჩვენმა ჯარებმა გადალახეს ზაპადნაია დვინა ქალაქ სურაჟის ჩრდილოეთით და ამ ქალაქის განაპირა უბნებისაკენ გაიჭრნენ. ჩვენი სხვა ნაწილები მდინარე კასპლიაზე გადავიდნენ და სურაჟ-ვიტებსკის გზატკეცილი გადასჭრეს. საბჭოთა მებრძოლებმა ყველა მხრიდან სწრაფი დარტყმებით გაანადგურეს გერმანელები და დაიკავეს გზატკეცილებისა და ყამირგზების მნიშვნელოვანი კვანძი ვიტებსკის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი სურაჟ-ვიტებსკი. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენი ნაწილები შეტევას ავითარებდნენ, წარმატებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

* * *

ფინეთის ყურეში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ორი ტრალერი. წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 6 თვითმფრინავი.

* * *

ლატვიელთა ორმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადაადგო გერმანელთა 17 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამსხვრეულია რამდენიმე ორთქლმავალი და 100-ზე მეტი ვაგონი მოწინააღმდეგის სამხედრო ტვირთიანად და ჯარებიანად. ლატვიელ პარტიზანთა ჯგუფმა ერთ სარკინიგზო სადგურში შეაღწია, აფეთქა ორი ორთქლმავალი და დაანგრია რკინიგზის ლიანდაგი.

* * *

დნეპროძერჟინსკის რაიონში ტყვედ წამოყვანილმა გერმანელმა 62-ე ქვეითი დივიზიის 179-ე პოლკის შტაბის ასეულის ეფრეიტორმა ვილი შულტესმა განაცხადა: „ჩვენი დივიზია მოულოდნელად გადმოიყვანეს ამ უბანზე და პირდაპირ გზიდან გარეკეს ბრძოლაში. სარდლობამ მოგვცა კატეგორიული ბრძანება: „განდევნეთ რუსები დნეპრის მარჯვენა ნაპირიდან და აღადგინეთ წინანდელი მდგომარეობაო“. ჩვენ გვეხმარებოდნენ საარტილერიო ბატარიები და ბევრი თვითმავალი ქვემეხი. ამოქმედებულ იქნენ აგრეთვე დიდი სატანკო ძალები. 16 საათზე, საარტილერიო მომზადების შემდეგ, 179-ე პოლკის მესამე ბატალიონი იერიშზე გადავიდა, მაგრამ დანარჩენი ბატალიონები მას არ დაეხმარნენ. პირველი ბატალიონი რატომღაც დაყოვნდა, მეორე ბატალიონის ჯარისკაცები კი, მიუხედავად ბრძანებისა, საერთოდ არ დაიძრნენ რუსების ნაღმსატყორცნთა და ქვემეხთა ძლიერი ცეცხლის გამო. მესამე ბატალიონს დიდი ზარალი მოსდიოდა და მან სეყოს ზღუდეებზე დაიხია. მეორე დღეს დივიზიის ნაწილებმა კიდევ უფრო მძიმე ზარალი განიცადეს, მაგრამ ერთი მეტრითაც ვერ წაიწიეს წინ. შუადღისას რუსები თვითონ გადმოვდნენ შეტევაზე. ჩვენი რიგები შედრკნენ და ყველანი თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. საშინელი პანიკა შეიქმნა. ყველაფერი აირ-დაირია. მე და ჩემი ამხანაგი ანდრეას პოლკმაბერი სანგარში დავრჩით და ტყვედ დაგნებდით“.

* * *

ორიოლის ოლქის ქალაქ ნოვოზიბკოვის მცხოვრებლებმა შეადგინეს აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მხეცობათა შესახებ. აქტში ნათქვამია: „ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელმა ჯალათებმა აწამეს და დახვრიტეს ქალაქ ნოვოზიბკოვისა და მისი მიდამოების რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. გერმანელების განდევნის შემდეგ, კარხოვის ტყეში, სადგურს გადაღმა, აღმოჩენილ იქნა ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა მასობრივი საფლავები. შვიდ ორმოში აღმოჩნდა მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა 2.860 გვამი. გერმანელების მიერ წამებით დახოცილ საბჭოთა მოქალაქეების ბევრი გვამი აღმოჩნდა აგრეთვე დემენის ტყეში, საცდელი სადგურის მახლობლად. დადასტურებულია, რომ გესტაპოელებს აქ ყოველდღე მოჰყავდათ დაპატიმრებულნი და საშინელი წამების შემდეგ ხოცავდნენ მათ. წითელი არმიის დარტყმებით უკანდახევისას გერმანელმა ფაშისტმა ბანდიტებმა ქალაქის ყველა საუკეთესო შენობა ააფეთქეს. ჰიტლერელებმა დაანგრიეს და დასწეს ვაგზალი, ფაბრიკა „ვოლნა რევოლიუციი“, სახამებლის ქარხანა, სამი საავადმყოფო, 250 საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობები“.

აქტს ხელს აწერენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედების გამომძიებელი კომისიის წევრები, ქალაქის მცხოვრებნი: გორდეენკო, ბროხმანი, ცარენკო, ეგრაშინი, მელნიკოვი, ფრანცუზოვი, ბარბაჩი, საგჩენკო, ბაბინეცევი და სუხოცკაია.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები მინსკის, კალინკოვიჩისა და აპოსტოლოვოს რკინიგზის კვანძებზე

27 ოქტომბერს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა გერმანელთა თავმოყრილი სამხედრო ეშელონები მინსკის, კალინკოვიჩისა და აპოსტოლოვოს რკინიგზის კვანძებზე. დაბომბვის შედეგად დაიმსხვრა რკინიგზის რამდენიმე შემადგენლობა. ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რასაც თან სდევდა დიდი ძალის აფეთქებანი.

ჩვენი სამი თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

უკანასკნელი ცნობები

რუზველტი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ

ლონდონი, 27 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, რუზველტმა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრ ნოქსს მისალმება გაუგზავნა „სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის“ გამო, რომელიც დღეს აღინიშნება.

მისალმებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალთა შემადგენლობაში ახლა შედის 700-ზე მეტი საბრძოლო გემი და 20 ათასზე მეტი სამხედრო-საზღვაო თვითმფრინავი. „ჩვენ,— აცხადებს რუზველტი,—ვაშენებთ ახალ გემებსა და თვითმფრინავებს და კიდევ უფრო მეტ გემსა და თვითმფრინავს ავაგებთ მათი საჭიროებისდაკვალად“.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები უნგრეთის ქალაქებზე

ლონდონი, 27 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ბუდაპეშტიდან ანკარაში დღეს მიღებული ცნობების თანახმად, 25 ოქტომბერს ღამით მოკავშირეთა თვითმფრინავებმა დაბომბეს უნგრეთის ორი ქალაქი — დიერი (უნგრეთის ჩრდილო-დასავლეთში) და ნადკანიჟა (სამხრეთ-აღმოსავლეთში). ბუდაპეშტში საჰაერო განგაში გამოცხადდა, რომელიც 45 წუთს გაგრძელდა.

მუსოლინის მოკვლის ცდა

ლონდონი, 28 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იტალიის საზღვრიდან გადმოგვცემს, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ამას წინათ მზადდებოდა მუსოლინის მოკვლა. აპირებდა, რომ გამგზავრებას, მუსოლინის განზრახვა ჰქონდა ამ მგზავრობის დროს დაშვებულიყო იტალიის ერთ-ერთ აეროდრომზე, რათა იქ სპეციალური თვითმფრინავში გადმოჯდარიყო. ცნობა, რომ ეს ცდა ჩაშლილია, ჯერ-ჯერობით, ოფიციალურად გამოიარაკვა, ეს თვითმფრინავი ვიღაცას განზრახ დაუზიანებია.

იმავე დროს მიღებულია ცნობები, რომ ვერონასა და ბოლონიაში, სადაც მარიონეტულ „ფაშისტურ-რესპუბლიკურ მთავრობას“ ადგილსამყოფელი უნდა ჰქონოდა, აღმოჩენილ იქნა შეთქმულებანი მუსოლინის წინააღმდეგ. არის ცნობები, რომ ამასთან დაკავშირებით მუსოლინიმ გადასწყვიტა გერმანიაში გასეირნება და იქ დარჩენა.

ახალგაზრდობის საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირს

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის ლენინურ კომკავშირს მისი 25 წლისთავის დღეს.

კომკავშირი თავის იუბილეს აღნიშნავს იმ ვითარებაში, როდესაც სწარმოებს დიდი სამამულო ომი გერმანელი ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ, რომლებმაც ხელმყვეს საბჭოთა ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერება. მრავალმილიონიანი კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა მთელ ხალხთან ერთად აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად.

25 წელია კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ზრდიდა ახალგაზრდობას ლენინიზმის სულისკვეთებით, სამშობლოსადმი ერთგულებისა და თავისი ხალხისადმი თავდადებული სამსახურის სულისკვეთებით. კომკავშირი ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული თანაშემწე და საბრძოლო რეზერვია.

მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში კომკავშირელმა ვაჟებმა და ქალებმა — საბჭოთა ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა სახელი მოიხვეჭეს დამკვრელური მუშაობით მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე. ისინი იყვნენ ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებელთა პირველ რიგებში, ეუფლებოდნენ თანამედროვე მეცნიერებასა და კულტურას.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ახალგაზრდობამ გამოიჩინა სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის მაღალი შეგნება და მტრის განადგურებისადმი ურყევი ნებისყოფა. იგი აღმოჩნდა ჩვენი ხალხის გმირული ტრადიციების, ბოლშევიკების პარტიის საბრძოლო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე. ახალგაზრდა საბჭოთა მეომრები — მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, ქვეითები, ყველა გვარეობის ჯარის მებრძოლები, ახალგაზრდა პარტიზანი ვაუები და ქალები უშიშრად იბრძვიან საზიზღარ დამპყრობთა წინააღმდეგ. ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები, რომელნიც წარმოებაში სცვლიან ფრონტზე წასულ მამებსა და უფროს ძმებს, დაძაბული შრომით ეხმარებიან წითელ არმიას მტრის განადგურებაში. საბჭოთა ახალგაზრდობა წარმატებით ეუფლება ცოდნას, წარმოების ტექნიკას და სამხედრო საქმეს. კომკავშირი მხურვალედ შეუდგა მეურნეობისა და კულტურულ დაწესებულებათა აღდგენას გერმანელ დამრბევთაგან განთავისუფლებულ რაიონებში. ახალგაზრდა პატრიოტები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ანდომებენ სოციალისტური სამშობლოს დაცვასა და განმტკიცებას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოსთქვამს, რომ ლენინური კომკავშირი ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, კვლავაც თავდადებულად იბრძოლებს დამპყრობთაგან ჩვენი მიწა-წყლის სრული განთავისუფლებისათვის, გააერთიანებს და წინ გაუძღვება საბჭოთა ახალგაზრდობას, აღზრდს მას პატრიოტიზმის, ლენინის ანდერძისადმი ერთგულების, ბოლშევიკური პარტიისათვის თავდადების სულისკვეთებით.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს!
დიდება ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდობას!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ქუანახშირის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

მოსკოვი, 28 ოქტომბერი (საკდესი). ომიანობის დროის პირობებში ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და სამხედრო მრეწველობის ქარხნების, მეტალურგიის, ელექტროსადგურებისა და რკინიგზის ტრანსპორტის სათბობით უწრუნველყოფის დარგში მთავრობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან:

ლენინის ორდენით

ფურცხვანიძე შალვა — „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის შახტის მნგრეველი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

ბესარაბი ანდრია იაკობის-ძე — „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის ამწეველი,

ვარდიშვილი ალექსანდრე გრიგოლის-ძე — „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მმართველი,

გოგუა ვასილ ბარნაბის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე,

კოშელევი ვასილ ივანეს-ძე — „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი,

მარიახინი ლევან ალექსანდრეს-ძე — „საქშახტმშენის“ ტრესტის მმართველი,

ლაზარიანი იანო — „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის მბურღავი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბარტკოვსკი ვასილ პავლეს-ძე—„ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის შახტის მრიგადირი-გამთხრელი,

ბერგვაძე ვარლამ ალფეზის-ძე — „საქშახტმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინრის მოადგილე,

ბერელიძე დავით ივანეს-ძე — „საქშახტმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი,

გვენეტაძე სილიბისტრო ევსევის-ძე—„ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის მრიგადირი-მებეგე,

დათუაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის მმართველი,

ჯვებენავა ტქვითიმე დიმიტრის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი,

მაღლაკელიძე ალექსანდრე გიორგის-ძე — „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტის შახტის მშენებლობის მთავარი ინჟინერი,

როსნაძე რუბენ ისიდორეს-ძე — „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის № 1 წოლხვრელის უფროსი,

ცაავა ალექსანდრე თეოდორეს-ძე—„ტყვარჩელქვანახშირის“ შახტის პარტკომის მდივანი,

ცაგურია ალექსანდრე ვიქტორის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მოადგილე,

შჩიკანი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე—„საქშახტმშენის“ ტრესტის გამთხრელი.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების ყოფნის გამო

ა. წ. 27 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა იმ თათბირის მონაწილეთათვის, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, წითელი არმიის ცენტრალური სახლის დარბაზში გაიმართა წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლის კონცერტი პროფესორ ა. ვ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით.

კონცერტს დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ა. იდენი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ა. ჰარიმანი და მისი ქალიშვილი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ამხანაგები ა. ი. ვიშინსკი, ვ. ვ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი

საბჭოთა კავშირის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის XXV წლისთავის წინადღეს ჩვენ, საბჭოთა კავშირის კომკავშირელები და ახალგაზრდობა—ფრონტელები, პარტიზანები, ზურგის მუშაკები, ჩვენს გულსა და ფიქრებს მოგაპყრობთ თქვენ, მეგობარსა და მასწავლებელს, გიძღვნით მგზნებარე სალამს და გიფიცავთ ჯანმრთელობას შობლიური ხალხის სადიდებლად, მისი მტრებისათვის თავზარდასაცემად.

ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაული დაემთხვა წითელი არმიის შესანიშნავ გამარჯვებათა დღეებს. თავისი ოფლითა და სისხლით, შრომითა და ტანჯვით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა ეს გამარჯვებანი მოსისხლე მტერზე. პოხარული ვართ, რომ ამ წარმატებებში ჩვენს შრომასაც უდევს წილი.

საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის ბრძოლების ცეცხლში იშვა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა და თქვენ, მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა და მეგობარმა, დაარწიეთ კომკავშირის აკვანი. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა, მისი ლოზუნგები მუდამ იყო და იქნება ჩვენი ბრძოლის, მუშაობისა და სწავლის საფუძველი.

პარტია ვავასწავლის თავდადებულად ვემსახუროთ საბჭოთა ხალხს, ვიყოთ ჩვენი სამშობლოსათვის მამაცი და უშიშარი მებრძოლნი, ვიყოთ თავღაბალნი, ფხიზლად ვაფასებდეთ ჩვენს მუშაობას, არ ვკმაყოფილდებოდეთ მიღწეულით, მუდამ მივისწრაფოდეთ წინ.

დიდი და ნათელი გზა განვლო ჩვენმა სამშობლომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ჩვენ, ახალგაზრდა ფრონტელები, მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, ვხედავთ, თუ რა ბევრი რამ მოგვცა საბჭოთა წყობილებამ, რა ფართო გზა გაგვიხსნა მომავლისაკენ.

სამშობლო, საბჭოთა ხელისუფლება—ეს მე ვარ, ეს არის ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედი, ჩემი ბედნიერება, ჩემი მომავალი,—ასე ამბობს საბჭოთა კავშირის ყოველი ახალგაზრდა მოქალაქე.

ჯერ კიდევ 15 წლის წინათ, როდესაც მთავრობისაგან იღებდნენ წითელი დროშის ორდენს სამოქალაქო ომის წლებში საბრძოლო დამსახურებისათვის, კომკავშირელები ფიცსა სდებდნენ: „ჩვენი ცოდნა, ჩვენი კუნთები და ჩვენი სიცოცხლე მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას ეკუთვნის. ჩვენ არ დაგვიშურებია ისინი სამოქალაქო ომის ცეცხლოვან წლებში. ჩვენ სრულიად დაუნანებლად შევწირავთ მათ ახალი განსაცდელისა და გამარჯვებათა დღეებში. ვფიცავთ ახალი დიდებით შევმოსოთ წითელი არმიის წითელი დროშები და წითელი ფლოტის „ოლფერი ალმები“.

ასრულებენ რა ამ ფიცს, საბჭოთა კავშირის ჭაბუკები და ქალიშვილები ფრონტზე და ზურგში პატიოსნად და თავდადებულად იბრძვიან სამშობლოს ბედნიერებისათვის.

ასეულათასობით კომკავშირელები ნებაყოფლობით წავიდნენ ფრონტზე. კომკავშირელები მიდიოდნენ იქ, სადაც საჭირო იყვნენ ყველაზე საიმედო, გაბედული, დისციპლინიანი მებრძოლები,—გვარდიის სანაღმმტყორცნო ნაწილებში, ტორპედოსან კატერებზე, საჰაერო-სადესანტო ჯარებში. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კადრებში მოვიდნენ ათეულათასობით ქალიშვილები. ისინი მეზენიტეები, მეტყვიამფრქვეველები, სნაიპერები, ტელეფონისტები, რადისტები, სანრაზმელები, სამედიცინო დები გახდნენ.

ყველა გვარეობის ჯარში ბრძოლების ცეცხლში იზრდებოდნენ და იზრდებიან სამხედრო საქმის ახალგაზრდა ოსტატები.

სამამულო ომის პირველ დღეებშივე კომკავშირის აღზრდილებმა ნიკოლოზ გასტელომ, პეტრე ხარიტონოვმა, მიხეილ ჟუკოვმა, სტეფანე ზდოროვცევმა საგმირო საქმეები ჩაიდინეს და პირველებმა მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სამარადისო დიდებით არის მოსილი ბაშკირეთის კომკავშირის აღზრდილის, რიგითი მებრძოლის ალექსანდრე მატროსოვის სახელი.

ლეგენდარული გახდა ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, შურა ჩეკალინის, „მოლოდაია გვარდიის“ ჭაბუკი გმირების—ქალაქ კრასნოდონის იატაკქვეშელთა სახელები.

სამამულო ომის მატიანეში მრავალი სახელოვანი საგმირო საქმე ჩასწერეს სამხედრო მეზღვაურებმა, რომელთაც კომკავშირი შეფობს. ორი ათეული წლის განმავლობაში კომკავშირი შეფობს სამხედრო-საზღვაო ფლოტს. ხომალდებზე კომკავშირის საგზურით მოსული ბევრი ჭაბუკი საქმის მცოდნე ოფიცერი გახდა. განაგრძობს რა რუსეთის ფლოტის მეზღვაურთა გმირულ ტრადიციებს, ფლოტის ახალგაზრდობა ზღვაზეც და ხმელეთზეც მამაცობაში ეჯიბრება წითელი არმიის ახალგაზრდა მებრძოლებს. გერმანელი როგორც ცეცხლს, ისე უფრთხის საბჭოთა მატროსის შავ ბუშლატს და ზოლებიან ხალათს.

წითელი არმიისა და წითელი ფლოტის იმ მეომართა შორის, რომელნიც საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდების მიღების ღირსნი გახდნენ, 500-ზე მეტი ლენინურ-სტალინური კომკავშირის აღზრდილია. მიმდინარე წლის მარტო ექვსი თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 100.000-ზე მეტი კომკავშირელი ფრონტელი.

ასრულებს რა თქვენს მითითებას ფრონტისათვის რეზერვების მომზადების შესახებ, კომკავშირმა საყოველთაო სამხედრო სწავლებასთან ერთად მოამზადა ასეულათასობით მსროლელნი, ტანკების გამანადგურებელნი, გრანატმტყორცნელნი, მეტყვიამფრქვეველნი, ამფოქებელნი, ნაღმმტყორცნელნი, რომელნიც ამჟამად სამამულო ომის ფრონტებზე იბრძვიან.

დაუოალავად ებრძვის გერმანელ დამპყრობლებს მტრის ზურგში დარჩენილი ახალგაზრდობა. კომკავშირელები და ახალგაზრდობა ბევრი პარტიზანული რაზმის მებრძოლ ბირთვს შეადგენენ. კომკავშირის ასობით აქტივისტები—არალეგალური პირველადი ორგანიზაციების, რაიკომების, საოლქო კომიტეტების მდივნები იხმარებიან პარტიას დარაზმოს და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ფეხზე დააყენოს ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა.

მთელ ხალხთან და წითელ არმიასთან ერთად დედაქალაქის კომკავშირელები და ახალგაზრდობა 1941 წლის შემოდგომის ძნელ დღეებში მამაცურად იცავდნენ შობლიურ მოსკოვს. 260.000 კომკავშირელი წავიდა ფრონტზე. 100.000-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი აგებდა სიმაგრეებს. მოსკოვის კომკავშირმა სამშობლოს მისცა 59 საბჭოთა კავშირის გმირი. ვიქტორ ტალალიხინი და ნატალია კოვშოვა, ილია კუზნინი და მარიამ პოლივანოვა—ეს და სხვა სახელები მუდამ დარჩება ჩვენი ახალგაზრდობის გულში როგორც სამშობლოსადმი კეთილშობილური სამსახურის სიმბოლო.

დიადი ქალაქის სახელოვან ტრადიციებს იცავს და ამრავლებს ლენინგრადის ახალგაზრდობა. ლენინგრადის ყოველი ათი კომკავშირელიდან ცხრა ფრონტზე წავიდა. ასეულათასობით ჭაბუკები და ქალიშვილები აგებდნენ სიმაგრეებს ქალაქის მისადგომებზე. ბევრი საბჭოთა კავშირის გმირი და ათასობით ორდენოსანი აღზარდა ლენინგრადის კომკავშირმა.

არა მარტო ფრონტზე. არამედ ღრმა ზურგშიც ახალგაზრდა პატრიოტები აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ომის განმავლობაში ურალმა ერთისამად გაადიდა იარაღის გამოშვება. შეიქმნა ახალი ქარხნები. ამუშავდა დასავლეთიდან ევაკუირებული საწარმოები, აგებულია ახალი ბრძმედები, მარტენები, საამქროები და ყველგან—ქარხნებში, შახტებში, მშენებლობებზე—გაისმის ახალგაზრდობის წკრიალა ხმა. ათასობით კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები მუშაობენ ურალის საწარმოებში. ახალგაზრდობის ხელით შენდება კომკავშირული მეექვსე ბრძმედი მაგნიტკაში და ბრძმედი ნ.-ტაგილში.

მოსკოვში, ლენინგრადში, ურალზე, ვოლგაზე, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში, კავკასიონის ქედს გადაღმა—ყველგან ზურგის ახალგაზრდა მშრომელნი დღედაღამ მუშაობენ მტერზე გამარჯვებისათვის.

1941 წლის 3 ივლისს გორკის სტალინის სახელობის ქარხნის კომკავშირელებმა, მოისმინეს რა თქვენი ისტორიული სიტყვა რადიოთი, გადასწყვიტეს: „ჩვენი ამხანაგები ფრონტზე წავიდნენ. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ჩვენდათავადაც და მათ მაგივრადაც“. ასე დაიწყო „ორასოვანთა“ მოძრაობა. მოკლე ხანში მან დიდ გაქანებას მიაღწია.

კომკავშირელები გამოვიდნენ ფრონტული ბრიგადების ორგანიზატორებად. ამ ბრიგადების მონაწილენი კისრულობდნენ ვალდებულებას—შეესრულებინათ სულ მცირე ორი ნორმა. ფრონტულმა ბრიგადებმა განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვეს მოსკოვში. დედაქალაქის საწარმოებში ათასობით ფრონტული ბრიგადები მუშაობენ.

ახალგაზრდობამ, პიონერთა და მოსწავლეთა მხურვალე მონაწილეობით, ომის ორი წლის განმავლობაში შეაგროვა და მრეწველობას გადასცა 4 მილიონი ტონა ჯართი.

ასეულათასობით ახალგაზრდობა მუშაობს რკინიგზის ტრანსპორტზე. წითელი არმიის მეწინავე ნაწილებს კვალდაკვალ მიჰყვება აღდგენითი ბრიგადების ახალგაზრდობა. ახალგაზრდა რკინიგზელები თავდადებულად მუშაობენ იმისათვის, რომ დროულად მიაწოდონ ფრონტს იარაღი, საომარი მასალები, სურსათი.

ომმა ფრონტზე წასულ კადრის მუშათა შესაცვლელად დაზგებთან დააყენა ასეულათასობით ახალი ახალგაზრდა მუშები. მარტო სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებმა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებმა მისცეს ჩვენს ქვეყანას მილიონ-ნახევარი მუშა. ეს ახალგაზრდობა სწავლობდა და ამავე დროს მუშაობდა. სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეებმა ომის განმავლობაში 3 მილიარდი მანეთის პროდუქცია მოგვცეს.

დაუცხრომლად შრომობს ფრონტისათვის სოფლის ახალგაზრდობა.

ქალთა სატრაქტორო ბრიგადების სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში ათეულათასობით ტრაქტორისტი ქალი ჩაება. მეორე წელიწადია ამ შეჯიბრებაში რიბნოვსკაიას მტს-ის დარაა გარმაშის კომკავშირული სატრაქტორო ბრიგადა იმარჯვებს. გარმაშის ბრიგადამ თავისი წლიური გეგმა 500 პროცენტით შეასრულა და ხელმეორედ მოიპოვა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ტრაქტორების სათადარიგო ნაწილთა მასობრივი შეგროვება, რაც სტალინგრადის ოლქის ილოვლინსკაიას მტს-ის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის თაოსნობით დაიწყო, მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა და ხელი შეუწყო ათასობით მანქანების მწყობრში დაბრუნებას. ახალგაზრდობის ძალებით ერთი წლის განმავლობაში შეგროვებული, დამზადებული და აღდგენილია, მუშაობისაგან თავისუფალ დროს, 65 მილიონი მანეთის ინსტრუმენტი და სათადარიგო ნაწილები.

ამ შემოდგომის დღეებში სოფლის ახალგაზრდობა ცდილობს მთელ კოლმეურნეებთან ერთად რაც შეიძლება მალე დაამთავროს ლეწვა და უზრუნველჰყოს წითელი არმიისა და ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების სახელმწიფო მიწოდებათა გეგმის დროულად შესრულება. ახალგაზრდობის სატრანსპორტო ბრიგადები გაძლიერებით მუშაობენ ახალი მოსავლის პურის ზიდვაზე. მარტო ნოვოსიბირსკის ოლქში ამ ბრიგადებმა ჩასაბარებელ პუნქტებში 6.490.000 ფუთი პური მიზიდეს, ალტაის მხარეში—12.000.000 ფუთი.

ბევრ ოლქში გაჩაღდა ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრება მზრალად ხვნისათვის.

კომკავშირის თაოსნობით ახალგაზრდობა გამოვიდა თავდაცვის ფონდში სახსრების მასობრივი შეგროვების წამომწყებად. 1942 წლის ნოემბრამდე კომკავშირმა 500 მილიონამდე მანეთი შეაგროვა და გამოიმუშავა. როდესაც ტამბოველები თავისი მოწოდებით გამოვიდნენ, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კვლავ გააჩაღეს სახსრების მასობრივი შეგროვება წითელი არმიისათვის საჭირო იარაღის წარმოებისათვის და ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი შეაგროვეს.

კომკავშირელები სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდობის მოძრაობას წითელი არმიისათვის გეგმის ზევით პროდუქციის ფონდების შესაქმნელად.

1942 წლის იანვარში სტალინის სახელობის ავტოქარხნის ახალგაზრდობის თაოსნობით წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავად დაწყებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფრონტს გეგმის ზევით მისცა ასეულ მილიონობით მანეთის იარაღი, საჭურველი და საომარი მასალები.

კომკავშირის საგზურებით მიდიოდა ახალგაზრდობა შრომის ფრონტზე. საქართველოს და კუბიშევის ქალიშვილებმა ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ახალგაზრდა ქალები—საწარმოებში!“. მრავალი ათასი ქალიშვილი წავიდა სამუშაოდ ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, ტრანსპორტზე. ათეულათასობით ახალგაზრდა ლენინგრადელი, მოსკოველი, იაროსლაველი, ვოლოგდელი, არხანგელსკელი, კიროველი სტახანოვურად შრომობს ხე-ტყის დამზადებაზე.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა ეხმარებიან გერმანელების მიერ დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეს.

უკრაინაში, კალინინის, სმოლენსკისა და სხვა ოლქებში კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა შეაკეთეს და ხელახლა ააშენეს გერმანელების მიერ დამწვარი ათობით და ასობით სკოლები, საავადმყოფოები, ქოხ-სამკითხველოები, მტრის მიერ დანგრეული ბიბლიოთეკები, კლუბები, სტადიონები, საცხოვრებელი სახლები.

15 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი წავიდა სტალინგრადის აღდგენის სამუშაოებზე.

საბჭოთა ახალგაზრდობა გულმხურვალედ ზრუნავს ფრონტელთა შვილებისათვის. 1 სექტემბრისათვის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ ბავშვების დასახმარებლად შეაგროვეს და კვირაობებზე გამოიმუშავეს 47 მილიონი მანეთი.

ბავშვები მუდამ ყველაზე ბედნიერნი იყვნენ ჩვენს ქვეყანაში. ხალხის ალერსი ამშვენებს მათს ცხოვრებას. ჩვენი მთავრობა არაფერს იშურებს იმისათვის, რომ ისინი კულტურულნი და ჯანსაღნი იზრდებოდნენ.

ჩვენი ბავშვები სიყვარულითა და ერთგულებით უპასუხებენ სამშობლოს, მთავრობას, გიპასუხებენ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძე. პიონერები და მოსწავლეები ეხმარებიან ფრონტელთა ოჯახებს, შეფობენ ჰოსპიტლებს, აგროვებენ და ფრონტზე უგზავნიან საჩუქრებს მებრძოლებსა და ოფიცრებს, მიწერ-მოწერა აქვთ მათთან. სასკოლო სახელოსნოებში ხსინი, ახამებენ რა შრომას სწავლასთან, ათასობით აკეთებენ საჭირო სასარგებლო ნივთებს.

შარშან 4.700 ათასი მოწაფე გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, რათა დახმარებოდნენ უფროსებს მინდვრების დათესვასა და გამარგვლაში, მოსავლის აღებაში. მათ 145.800 ათასი შრომადღე გამოიმუშავეს. წელს პიონერები და მოსწავლეები კიდევ უკეთესად მუშაობდნენ მინდვრად.

ბრძოლასა და შრომაში კომკავშირი ვაუკაცდება, იწრთობა, იზრდება. მარტო ომიანობის დროის განმავლობაში საკ. ალკკ რიგებში 5.351.247 ჭაბუკი და ქალიშვილი შემოვიდა. 1.379.766 კომკავშირელი საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შევიდა.

მთელ მზადებას საკ. ალკკ XXV წლისთავისათვის ჩვენ ვატარებთ ბოლშევიკური პარტიის გარშემო კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შემდგომი დარაზმვის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად ახალგაზრდობის მთელი ძალების მობილიზაციის, ფრონტისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის, კომკავშირული ორგანიზაციების შემდგომი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების, ახალგაზრდობის ფართო მასებთან მათი კავშირის გაძლიერების ნიშნით.

ყველა დარგში კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გააჩაღეს საბრძოლო შეჯიბრება კომკავშირის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. თითოეული ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, საბრძოლო წარმატებებით აღნიშნოს ჩვენთვის სასიხარულო დღისათვის მზადება.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ, ყველას ამჟამად მხოლოდ ერთი ამოცანა გვაქვს — გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელ დამპყრობთაგან, ულმობლად ვიძიოთ შური ჰიტლერელ არამზადებზე საბჭოთა ადამიანების სისხლისა და ცრემლებისათვის. კომკავშირელები, ფრონტისა და ზურგის მთელი ახალგაზრდობა, ისე როგორც არასოდეს, შემჭიდროებული არიან ლენინ-სტალინის პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ჩვენ, კომკავშირელები, კვლავაც აღვზრდით მთელ ახალგაზრდობას ბოლშევიკური პარტიისადმი, საყვარელი სამშობლოსადმი, თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

იარაღითა და შრომით, გაათკეცებული ენერგიით, კიდევ უფრო მეტი დისციპლინითა და ორგანიზებულობით ჩვენ დღითი დღე გამოვჭედავთ მტერზე გამარჯვებას. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის—აი ჩვენი საბრძოლო ძახილი ამ მკაცრ დროს.

ჩვენ, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ახალგაზრდა მებრძოლები და ოფიცრები, პარტიზანები და პარტიზანი ქალები, ფიცსა ვდებთ არ შევარცხვინოთ საბჭოთა იარაღის ღირსება. სამხედრო ოსტატობის დაუცხრომლად ამაღლებით, ჩვენთვის მონდობილი ტექნიკის ბეჯითად დაუფლებით, დისციპლინის ყოველდღიური განმტკიცებით, ჩვენ ვიბრძოლებთ მტერთან ისე, რომ არ დავზოგავთ არც ძალ-ღონეს და არც სიცოცხლეს. დიადი განმათავისუფლებელი მისია გვხვდა ჩვენ წილად. ჩვენ ბოლომდე შევასრულებთ თქვენს ბრძანებას—გავწმინდოთ ჩვენი შობლიური მიწა-წყალი ჰიტლერელი არამზადებისაგან.

მთელ ხალხთან ერთად ჩვენ, კომკავშირელები, საბჭოთა ახალგაზრდობა, ვიმუშავებთ კიდევ უფრო მეტი ენერგიით, დავრაზმავთ ყველა ძალებს, რათა სავსებით უზრუნველვყოთ წითელი არმია ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტრის გასანადგურებლად. სიტყვას გაძლევთ:

მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ახალ ზრდას, დაუღალავად განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, მივცეთ მთავარი სარდლობის ფონდს გეგმის ზევით თვითმფრინავები, ტანკები, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, მილიონობით ყუმბარები და ვაზნები.

გავამრავლოთ ორასოვანთა და ფრონტულ ბრიგადათა რაოდენობა.

მივაღწიოთ ლითონის ჯართის შეგროვებისა და გაგზავნის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

ბეჯითად შევისწავლოთ სამხედრო საქმე, დავეხმაროთ საყოველთაო-სამხედრო სწავლების მუშაკებს მოამზადონ საბრძოლო რეზერვები წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის.

მთელ ჩვენს ხალხთან ერთად დაუღალავად ვიმუშავებთ, რათა უზრუნველვყოთ 1944 წლის მაღალი მოსავალი და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. სიტყვას გაძლევთ:

დავეხმაროთ კოლმეურნეობებს წარმატებით დაამთავრონ ლეწვა, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება და მზრალად ხვნა.

დავეხმაროთ ტრაქტორებისა და გუთნების ვადაზე შეკეთებაში. ახალგაზრდობის ძალებით ქალაქის საწარმოებში სამუშაოსაგან თავისუფალ დროს გავაკეთოთ ასეულათასობით სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები მტს-ებისათვის.

კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძალებით გეგმის ზევით დავთესოთ ჰექტარები თავდაცვის ფონდში.

ფართოდ გავავრცელოთ მაღალი მოსავლის რგოლთა მუშაობის გამოცდილება კოლმეურნეობებში.

დავეხმაროთ პიროტყვის მაძღრისად და თბილად გამოზამთრების მოწყობაში—პიროტყვის სადგომების შეკეთებასა და დათბუნებაში, საკვების მიზიდვაში და მის ხარჯვაზე კონტროლის დაწესებაში.

გავგზავნოთ საუკეთესო კომკავშირელები მეცხოველეობის ფერმებში მოზარდეულის მოვლის გასაუმჯობესებლად.

მთელ ხალხთან ერთად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ უაღრესად ფართო დახმარება გავუწიოთ განთავისუფლებულ რაიონებს. სიტყვას გაძლევთ:

სმოლენსკის, კალინინის და სხვა ოლქების მაგალითისამებრ, განთავისუფლებულ სასოფლო ადგილებში შევქმნათ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების აღსადგენად.

კიდევ უფრო აქტიურად ვაწარმოოთ მუშაობა სტალინგრადის აღსადგენად.

დავეხმაროთ დონბასის აღდგენის საქმეს.

განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით მოვეკიდოთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აღდგენას განთავისუფლებულ რაიონებში.

ჩვენ გვახსოვს, ამხანაგო სტალინ, თქვენი მითითება იმის შესახებ, რომ კადრები სწყვეტენ ყველაფერს. ჩვენს სამშობლოს ახლა, ისე როგორც ადრე, ესაჭიროება სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის.

სიტყვას გაძლევთ, რომ საბჭოთა სტუდენტობა კიდევ უფრო ბეჯითად დაეუფლება ცოდნას, განამტკიცებს დისციპლინას, მოამზადებს თავის თავს საქმის მცოდნე და დასახულ ამოცანათა დაძლევის უნარის მქონე მუშაკებად.

ჩვენ განსაკუთრებულ ამოცანად ვისახავთ—დავეხმაროთ სახალხო განათლების ორგანოებს მთლიანად განახორციელონ 1943-44 სასწავლო წელს კანონი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ. სიტყვას გაძლევთ:

მივაღწიოთ, რომ სასკოლო ასაკის არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეთ. ჩვენ დავეხმარებით სკოლებს მოწყობილობითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით უზრუნველყოფაში, სათბობის დამზადებასა და მიზიდვაში.

დავეხმარებით უმშობლოდ დარჩენილი ბავშვებისათვის ახალი საბავშვო სახლების მოწყობის საქმეს.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ომიანობის ამ მკაცრ დღეებში არც ერთი—ეენთავაბა არა აქვს სხვა ფიქრი, სხვა სურვილი, გარდა ერთისა: რაც შეიძლება მალე გავანადგუროთ გერმანელ ფაშისტთა არმია. მტრისადმი მძაფრი სიძულვილით აღგზნებულია ჩვენი გული. ჩვენ ყველაფერი გვახსოვს: ქერჩის სამინელი თხრილები და კრასნოდარის „დუშეგუბკები“, სტალინგრადის ნანგრევები და ჩერნიგოვის ფერფლი. ჩვენ გვახსოვს ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, შურა ჩეკალინის, კრასნოდონის გმირების მხეცურად მოკვლა. ჩვენ სამაგიეროს მივუზღავთ მტერს მის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედებისათვის, საბჭოთა ადამიანების სისხლისა და ცრემლებისათვის.

სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი სიყვარულმა კიდევ უფრო ძლიერად შეადუღა ერთ ოჯახად ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ჭაბუკები და ქალიშვილები. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ყველა ხალხთა წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებიან კეთილშობილურ მისწრაფებაში — ასახელონ სამშობლო თავისი საგმირო საქმეებით.

ყველა სიძნელესა და მძიმე განსაცდელში ჩვენ დროშასავით გამოვატარეთ ლენინ-სტალინის დიადი იდეები, შეურყეველი რწმენა ჩვენი საქმის წარმატებისადმი. ჩვენ თამამად ვიყურებით წინ და ბრძოლების ცეცხლში ვხედავთ ჩვენი გამარჯვების მოახლოებას.

ვფიცავთ სამშობლოს სახელოვან ხალხის დიდებას,
ჩვენ ფრონტს შევწირავთ სიჭაბუკის წვასა და გზნებას.
მაღაროებში, საამქროებში, თუ ქარხანაში,
კოლექტივებში—გამარჯვება მუდამ გვექნება.

ვფიცავთ სამშობლოს სადიდებლად დაცემულ გმირებს,
მათს სპეტაკ ხსოვნას, დაუვიწყარ უწმიდეს სახელს,
ვაღლა ვატარებთ კომკავშირულ ბრწყინვალე დროშას,
გავყვებით მარად მის ელვარე, ჩაუქრობ ნათელს.

ვისაც მარადი უკვდავება რგებია ერთხელ,
მას ვერ შეაკრთობს ქარიშხალი ღელვის გამჩენი
თავის განწირვა, ერთგულება გვაკაკუნებს მუდამ,
დიდი სტალინი და სამშობლო—დროშაა ჩვენი.

ვფიცავთ ლენინურ კომკავშირის დიად ღირსებას,
სამშობლოს ტანჯვას, მის მდუღარე ცრემლების დენას,
სამაგიეროს ჩვენ ასმაგად მივუზღავთ დუშმანს,
აღვგვით ფაშისტებს, დავამკვიდრებთ შვებას და ლხენას.

შურისძიებას, დენთივით გამშრალს, ვინახავთ გულში,
მტრის სიძულვილმა გაგვამტკიცა ფოლადის დარად,
ვურტყამთ ბანდიტებს სანგრებსა და ბნელ ბუნაგებში,
ხალხის განაჩენს ჩვენ უსიტყვოდ ვასრულებთ მარად.

ვფიცავთ ბრძოლებში გამობრძმედილ, დარკინულ გულებს,
ხელებს დაკორძილს, მძიმე შრომით ნაცადს, ნადაღებს,
ჩვენ გავიმარჯვებთ, მაშინ მოვრთავთ უფრო ლამაზად,
მტარვალის ხელით რბეულსა და დამწვარ ქალაქებს.

ვფიცავთ ძმათა სისხლს, ბრძოლის ველზე უწყალოდ დაღვრილს,
ჩვენ ობოლ ბავშვებს არ მოვაკლებთ მეგობრულ სითბოს.
ვიზრუნებთ მათზე ალერსით და უნაზეს ფიქრით,
რომ მუდამ გრძნობდნენ ჩვენი ხელის მშობლიურ სიტკბოს.

რომ მოკრძალებით, გულჩათხრობით აღარ ინაღვლონ,
კვლავ სიხარულით, ისევ ლაღად გაშალონ ფრთები.
გმირთა ოჯახებს, იმათ ქვრივებს და ობოლ ბავშვებს
აღარ დაეხშვით წინსვლისათვის ცხოვრების გზები.

ვფიცავთ ზღუდეთა მძლე სიმტკიცის გამრღვევ ძალღონეს,
სასტიკ ბრძოლაში, თუ შრომის ჟამს—მარჯვენას ნაცადს:
ველად—სანგრებში, ომის ცეცხლში, თუ ზურგში მუდამ
ცოდნას და სწავლას გავადიდებთ ყოველდღე ასად.

ჭაბუკურ ენერგიით ანთებულნი სულ გავწევთ წინა,
მიწის სტიქია რომ ძლიერი ცოდნით დავძლიოთ.
ვისწავლით! ვისწავლით! ვისწავლით!
რომ დროშა კულტურის სულ მაღლა ავწიოთ.

ვფიცავთ ჭაბუკურ გატაცების ფერად ოცნებას,
ყველაფერს, რასაც ჟი ჩვენ ვეტრფით ფიქრებით,
რომ სიტყვით და საქმით მტკიცედ და ურყევად,
მშობლიურ პარტიის ერთგულნი ვიქნებით.

შეუპოვრობა, ერთგულება, გამბედაობა,
დიდმა ილიჩმა გვიანდერძა ახალთაობას,—
მხოლოდ ძლიერი არის ღირსი, რომ ატარებდეს
ურყევ სტალინელ ბოლშევიკის არწივულ სახელს.

ვფიცავთ ლენინურ დაუჭკნობელ სიმართლეს გზნებით,
რომ ჩვენი სიხსლის და სიცოცხლის დაუზოგავად,
მედგარ ბრძოლაში ჩვენ ერთგული მუდამ ვიქნებით
ბელადის სიტყვის,საქმისა და ურყევი ნების.

ხანძრით გარუჯულ ნანგრევთ შორის, უმტკიცეს ძალით
მიგყევართ წინ და გამარჯვებით ბრძოლას აჩაღებ,
გაუმარჯოს მზეს!
გაუმარჯოს **სტალინს!**
განადგურება და სიკვდილი ფაშისტ ყაჩაღებს!

სამშობლოს წინაშე ხალხის წინაშე დღეს თქვენ, ჩვენს მამას, გაძლევთ საზეიმო დაპირებას: ჩვენს ბელს არ ეცოდინება დამშვიდება, ვიდრე თუნდაც ერთი გერმანელი სთელავს ჩვენს მიწა-წყალს; ჩვენს ხელს არ ეცოდინება დასვენება, ვიდრე ეს დიადი ბრძოლა გრძელდება; ჩვენს ტვინს არ ეცოდინება დაღლა, ვიდრე ჩვენი სამშობლოს ინტერესები მოითხოვენ ჩვენგან დაუღალავ შრომას. არცერთი გზა არ გვეჩვენება მეტად გრძელი, არც ერთი დაბრკოლება არ გვეჩვენება გადაულახავი.

 წყევლა-კრულვა და სიკვდილი ჰიტლერელ ჯალათებს!
გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!
გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც დაუღალავად და მზრუნველობით ზრდის ახალგაზრდა თაობას და რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მივყევართ!
გაუმარჯოს ჩვენ სახელოვან წითელ არმიას, რომელსაც თავისი ხიმტებით სიკვდილი მიაქვს საძულველი მტრისათვის!
გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

ამ წერილის განხილვა და მასზე ხელის მოწერა ხდებოდა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილების, პარტიზანული რაზმების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და დაწესებულებების კომკავშირელთა და ახალგაზრდობის კრებებზე.

წერილი განიხილა და ხელი მოაწერა 17.319.890 კაცმა.

„ბრძოლა ჩვენი საბჭოთა უკრაინისათვის“

დედაქალაქის ეკრანებზე გამოშვებულია ახალი ფილმი—„ბრძოლა ჩვენი საბჭოთა უკრაინისათ

დიდი სტალინის და საბჭოთა სამშობლო — დიადი ოქტომბრის!

სახელოვანი ფრონტელი კომკავშირელები

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ახალი წარმატებებით აღნიშნავს კომკავშირის 25 წლისთავს ნ ნაწილის კომკავშირელი ახალგაზრდობა.

ჰიტლერელ ოკუპანტებთან ბრძოლის პირველივე დღიდან სახელი გაითქვეს მებრძოლმა კომკავშირელებმა ქელეხსაშვილმა, აბრამიძემ და ყიღენტმა.

წითელარმიელმა კომკავშირელმა ქელეხსაშვილმა 26 ჰიტლერელი არამზადა მოსპო, რისთვისაც იგი მთავრობამ წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა. უფროსმა სერჟანტმა აბრამიძემ 16 ჰიტლერელს მოუსწრაფა სიცოცხლე და მთავრობის მაღალი ჯილდო—წითელი ვარსკვლავის ორდენი დაიმსახურა. უფროსმა სერჟანტმა კომკავშირელმა ყიღენტმა, რომლის მკერდს მედალი „მამაცობისათვის“ ამშვენებს, საში კაციჭამია ფრიცი აჭყლეტა ხელჩართულ ბრძოლაში.

ასევე გმირულად იბრძოდნენ კელეპტრიშვილი, გოგური, კოტორეიშვილი და სხვები.

დიდი სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებული იმ ქვემეხის გუნდი, რომლის მეთაურია კომკავშირელი სერჟანტი მგალობლიშვილი, მტრის 11 ტანკს შეებრძოლა. ბრძოლამ 5 საათს გასტანა. ერთ ტონამდე ყუმბარა დააყარეს მტრის ტანკებს მამაცმა მებრძოლებმა და სამი ტანკი გაანადგურეს, დანარჩენები კი უკუაქციეს.

გამზეცებულმა მტერმა მრავალჯერ შემოუტია მგალობლიშვილის გუნდს, თვითმფრინავები დასტრიალებდა მის ქვემეხს, მაგრამ გაბედულ კომკავშირელებს ბრძოლა არ შეუწყვეტნიათ. ქვემეხის გუნდიდან ორი კომკავშირელი—კალანდია და მგალობლიშვილი გადარჩა. დანარჩენი მტრის ყუმბარებმა წყობილებიდან გამოიყვანა. გამარჯვების რწმენით გამსჭვალული ორი პარტელერისტი ისევ განაგრძობდა მტრისათვის ყუმბარების დაშენას, იგერიებდა მტრის ტანკებს და წინააღმოწევის საშუალებას არ აძლევდა მათ. მგალობლიშვილი მტერთან ბრძოლაში მოპოვებულ მაღალ ჯილდოს—ლენინის ორდენს ატარებს, კალანდია კი—წითელი დროშის ორდენს და მედალს „მამაცობისათვის“.

უფროს სერჟანტ ნოე ჩინჩალაძის საბრძოლო ეპიზოდი ვაჟკაცობის ნიმუშია. აბხ. ჩინჩალაძემ თავისი ათეულით ერთ ბრძოლაში შეტევაზე გადმოსული მტრის 130 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა, თვითონ ტანკსაწინააღმდეგო თოფით 2 ტანკი დააზიანა და სნაიპერული შაშხანით 27 გერმანელი დამპყრობი მოსპო. კომკავშირელ ჩინჩალაძის მკერდს წითელი დროშის ორდენი აშშვენებს.

უდიდესი გამბედაობა და სიმამაცე გამოიჩინეს კომკავშირელმა წითელარმიელებმა ფხალაძემ და ლუაშვილმა. მათ ებრძანათ, რომ შესულიყვნენ მტრის ბორბა ზურგში და იქიდან „მოენე“ წამოეყვანათ. ფხალაძემ და ლუაშვილმა მოხერხებულად შეაღწიეს გერმანელების საკომანდო პუნქტში, გერმანელი ეფრეიტორი იქვე მოსპეს, ხოლო ობერ-ლეიტენანტს პირში ცხვირსახოცი ჩასჩარეს და სარდლობას „მოენე“ მოუყვანეს. ასეთი საბრძოლო დავალება ფხალაძეს და ლუაშვილს ბევრი შეუსრულებიათ. ისინი დაჯილდოებული არიან „წითელი ვარსკვლავის“ ორდენებით.

როდესაც ერთ-ერთი ქვეგანაყოფი შეტევაზე გადმოდიოდა, მტრის მძიმე ტყვიამფრქვევის განუწყვეტელი ცეცხლი ხელს უშლიდა მის წინსვლას.

— მე, ჩავაქრობ, ამხანაგო მეთაურო, მტრის საცეცხლე წერტილ!—განაცხადა წითელარმიელმა ბურდილაძემ და მეთაურის თანხმობით იგი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად წავიდა, გულადი კომკავშირელმა შეუმჩნეველად მიეპარა მტრის საცეცხლე წერტილს და ყუმბარამ გრანატის ზუსტი ტყორცნით მძიმე ტყვიამფრქვევი მისი გუნდიანად გაანადგურა. რის შემდეგ ჩვენმა შემტევმა ნაწილმა მტერს დიდმნიშვნელოვანი მაღლობი გამოსტაცა ხელიდან. აი რისთვის დაჯილდოვეს აბხ. ბურდილაძე წითელი დროშის ორდენით.

ასეთია ჩვენი ნაწილის სახელოვანი კომკავშირელების საბრძოლო გზა.

დ. გაბრიაძე
ნ. ქაქუშაძე

დიდება მათ, კომკავშირის აღზრდილებს—საბჭოთა კავშირის გმირებს
ნ. გასტელოს, ნ. ადამიას, ზ. კოსმოდემიანსკაიას, ლ. ჩაიკინას, ა. მოლოდჩის, ო. კოშევოის

კომკავშირული ბილეთი მოგვითხრობს

დიაკვირდით ამ კომკავშირულ ბილეთს. მან გაიარა ბრძოლის ქარცეცხლში და გასისხლიანებულია; ის მოგვითხრობს გმირულ შემართებაზე ერთი ქართველი კომკავშირელისა, რომელიც 1942 წელს მამაცთა სიკვდილით დაეცა კავკასიისათვის ბრძოლაში.

ეს ბილეთი ჯუთენოდა ლევან გრიგოლისძე ბერიას. ლევანი დაიბადა 1913 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფ. ხუნწში. დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1942 წელს წითელ არმიაში გიწვევეს. სერჟანტი ცნობილ კაპიტან ბუხაიძის ასეულში ათეულს მეთაურობდა.

1942 წლის შემოდგომაზე კავკასიის მთები შუბლშეკრულნი იდგნენ. ჯალაო კავკასიონი ფრისხანედ დასცქეროდა მოახლოებულ მტერს. მტერი გერმანელი იყო. მაშინ საზიზღარ გერმანელს კიდევ შეეძლო წინ გამოძრომა. ერთ ზღუდეზე ქართველები უნდა დახვედროდნენ მტერს, კაპიტან ბუხაიძის ასეულის ქართველები.

ლევან ბერიას ათეული მთების ძირში იდგა. ბრძოლა სოფლისათვის, რომელშიც ბერმანელები დაძრწოდნენ, განთიადზე უნდა დაწყებულიყო. ღამის სიჩუმეში ნიაღს მთებიდან ჩამოჰქონდა ჩანჩქერების ხმაური. ლევან გრიგოლის-ძეს თვალი არ მიეულულავს—ათეულის ბიჭებს ბრძოლისათვის ამზადებდა. მათ სახეებზე სერჟანტი კითხულობდა მოთმინებას და სიმკაცრეს.

ინათა. კაპიტან ბუხაიძის ასეული შეტევაზე გადავიდა. ყველაფერი მტრის გასანადგურებლად ამოქმედდა: სჯდებოდა ყუმბარა, ბრუტუნებდა ქვემეხი, კაკანებდა ტყვიამფრქვევი. ლევან ბერიას ათეულმა გერმანელებს ხელიდან გამოჰგლიჯა მნიშვნელოვანი მაღლობი. საჭირო იყო მაღლობის შენარჩუნება. ათეულის ბიჭები ჩასანგრდნენ და ხელახალი ბრძოლისათვის მოემზადნენ. ფაშისტებმა მაღლობის იერიში დაიწყეს. სერჟანტ ლევან ბერიას ათეული მტრის შეწყობილი ცეცხლით შეხვდა. იერიში იერიშს მოსდევდა, მაგრამ ათეულს უკან არ დაუხევია. წამდაუწუმ იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა. ლევან ბერია ვეფხვივით ტრიალებდა, ხან ერთ ფაშისტს აგებდა ხიშტზე, ხან მეორეს. მტერმა უნაყოფო იერიში შესწყვიტა. მაღლობის მისადგომები ფაშისტთა გვამებით იყო დაფარული. მტრის გვამებს რომ ხედავდა, ლევანი ზიზღით იფურთხებოდა.

მას სძულდა მტერი. უუვარდა სამშობლო. მისი ვაჟკაცური გული მხურვალე იყო. მებრძოლი ამხანაგისათვის თავს დასდებდა. მეთაურის გადასარჩენად ტყვიას შეეგებებოდა.

ВСЕСОЮЗНЫЙ ЛЕНИНСКИЙ КОММУНИСТИЧЕСКИЙ СОЮЗ МОЛОДЕЖИ
КОМСОМОЛЬСКИЙ БИЛЕТ
№ 9159013
Фамилия
Имя и отчество
Год рождения 1913
Время вступления в ЛКСМ

ბრძოლა ამხანაგისათვის თავს დასდებდა. მეთაურის გადასარჩენად ტყვიას შეეგებებოდა.

ბრძოლა გრძელდებოდა. კაპიტანი ბუხაიძე სამჯერ დაიჭრა. მას თავს დასტრიალებდა ლევან ბერია, რომელიც ათეულსაც მართავდა. ტყვიამფრქვევები ორივე მხრიდან იქუხრობას იკლებდნენ. ლევანმა მიირბინა ბუხაიძესთან, რომელსაც სახე გაფითრებოდა. მათ ირგვლივ, მიწაში ტყვიები შუშხუნით ერეკებოდნენ. ლევანი გადაეფარა საყვარელ მეთაურს. გადაეფარა და მტრის ტყვიით სასაკვდილოდ დაიჭრა. მაშინ ლევან ბერიამ არ იცოდა, რომ მიუშვირა იმ ტყვიას, რომელსაც ლეგენდარული ქართველი გმირი ბუხაიძე უნდა გაეგმირა. და ბუხაიძემ განაგრძო ასეულის ხელმძღვანელობა.

ხევებში და ველზე სიკვდილი დათარეშობდა. ჩვენები ზღუდეს ინარჩუნებდნენ. კაპიტანი ბუხაიძე და სერჟანტი ლევან ბერია ცოცხლობდნენ, დაჭრილნი ბრძოლის ველს არ სტოვებდნენ. ისინი ხანდახან გასტვერდნენ კავკასიონს, რომლის გადაღმა საქართველო ეგულებოდათ. მამაცებს დედა-სამშობლომ მისცა ძალა მტრის ჯარები ძალების გასამკლავებლად. გადაწყვეტილმენ, რომ კაპიტანი ბუხაიძე დაჭრილ სერჟანტ ლევან ბერიას ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა: „უკან დაწევა გათავდა. ვებრძოლოთ უკანასკნელ სულისთქმამდე. ჩვენები მოგვეშველებიან. თუ მოვკვდებით, აქ ერთად დაგვასაფლავებენ. საქართველოს გუშაგად დავუდგებით“... და საქართველოში კაპიტან ბუხაიძის სიტყვებს მღერიან:

„—არ ვუშვებდი დარიალთან
გაიფთრებულ ყვითელ გველებს,
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს“.

(ირ. აბაშიძე)

მართლაც, ჩვენმა ნაწილებმა იმ ზღუდეზე დაყრდნობით, რომელიც კაპიტან ბუხაიძისა და სერჟანტ ლევან ბერიას მებრძოლებმა შეინარჩუნეს, მძლავრად დაარტყეს მტერს. სოფელი გერმანელებისაგან გაათავისუფლეს. კომკავშირელი სერჟანტი ლევან გრიგოლის-ძე ბერია საბჭოთა მთავრობამ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა. ლევან ბერია კაპიტან ბუხაიძის გვერდით დასაფლავეს.

ლევან ბერიას გულის ჯიბეში ნაპოვნი ეს კომკავშირული ბილეთი, ახლაც გასისხლიანებულია. ეს ლევანის სისხლია. იგი შურისგებისაკენ მოგვიწოდებს. შურისმგებელთა მძლავრი დარტყმებით ფაშისტებს შავი დღე დაუდგათ.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ. ახლა, 1943 წლის შემოდგომაზე, კავკასიის მთები შუბლგახსნილნი ამაყად დგანან... შემტევი წითელი არმია დასავლეთისაკენ მიდის.

დაიხსომეთ კომკავშირული ბილეთი № 9159013; მას ატარებდა ფრდენოსანი სერჟანტი ლევან გრიგოლის-ძე ბერია. მან თავისი მოვალეობა წმინდად შეასრულა საბჭოთა სამშობლოს, პარტიის, ხალხის, ლენინურ-სტალინური კომკავშირის წინაშე.

ნ. ყურაშვილი

ლენინური კომკავშირი

ანდრო თევზაძე

ახალგაზრდობის უსაყვარლესი,
ჩვენი სამშობლოს პირმშო კეთილი,
ხალხთათვის მუდამ გულმოალერსე,
მტერთათვის მუდამ კარდაკეტილი.

მისი სახელი არის თვით ლექსი
და მისი ხოტბა სიტყვა პირველი,
იგი ძალაა მტერთა გამსრესი,
იგი გმირია გასაკვირველი.

იმისმა ძალამ მთა-ბარი შესძრა,
მტკიცედ ასრულებს გაჩენის დღიდან
დიდმა ლენინმა რაც უანდერძა,
დიდმა სტალინმა რაც მიუთითა.

და როცა ომის რისხვა ამოსკდა,
ის იცავს ხალხის უწმინდეს მიზნებს,
თავგანწირული, როგორც სოსნოვსკი,
შემტევი, როგორც შალამბერიძე.

იგი გაზარდა გმირთა აკვანმა,
მისი სამშობლო ვერვინ გათელოს,
მტერს გადუდგება, როგორც კანკავა
და ეკვეთება, როგორც გასტელო.

ის არა დრკება ცეცხლში და ქარში,
იგი მომავლის გზა და ხიდია,
მამულის მტერთან სასტიკ ბრძოლაში
მისი რაზმები მტკიცედ მიდიან.

სამშობლოს დროშას ის უდგას მცველად
ბელადის გულის და ნების მსგავსი,
მტერს ტყვიას ურტყამს აუცდენელად
როგორც მარჯვენა ადამიასი.

ფრონტზე იბრძვის და ზურგშიაც შრომობს,
მისი მგზნებარე ცეცხლით ვინთებით,
მან ასახელა დედა-სამშობლო
შრომის და ბრძოლის მაგალითებით.

წინ უძღვის კიდევ ბევრი ბრძოლები,
მისი გმირობა ქვეყნებს მოიარს
მარად ცოცხალი, როგორც ოლეგი,
მუდამ უკვდავი, როგორც ზოია!..

28. X. 43.

შეჯიბრების დროშით

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები, პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით და ყოველდღიური დახმარებით, სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდობის ფართო მასების პატრიოტულ შემოქმედებითს მუშაობას ფრონტიადმი დახმარების გაძლიერების საქმეში. ახალგაზრდა პატრიოტებმა წარმატებით გაანადგეს ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობა იყო საქართველოში ამ სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი. ქარხნის ახალგაზრდობამ დროზე და გადაჭარბებით შეასრულა აღებული ვალდებულებანი. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს კაპიტალური რემონტიდან 3 ორთქლმავალი, 3 სამგზავრო, 3 მოტოვაგონი და 7 საბარგო ვაგონი. აგავე დროს მათ 3.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს. გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კომკავშირელები ზეინკალი ო. გაგიევა, ს. ლომიაშვილი, რ. აბუაშვილი, შ. ცხვედაძე, ალ. ზარდიაშვილი, პ. გოგია და სხვ.

თელავის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ წარმატებით შეასრულეს ვალდებულებანი, რაც მათ ლენინურ-სტალინური კომკავშირის 25 წლისთავისათვის იკისრეს.

კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდები თავიანთ საწარმოო წარმატებებს სახელოვან ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXV წლისთავს უძღვნიან საჩუქრად.

ქუთაისის ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის რეკორდსმენი ხარატი პ. რობაქიძე—კომკავშირის ჯგუფორგი ხარატი დაზგასთან.

ფოტო რ. აკოფოვისა

საიუბილეო საჩუქრები

ვ. ბაქრაძის სახელობის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კომკავშირელებმა სასახელოდ შეასრულეს აღებული ვალდებულებანი. კომკავშირელმა ხარატმა აბხ. ჩიქვინიძემ 22 ოქტომბერს 7 საათში გეგმა 2.050 პროცენტით შეასრულა და მიღებული ხელფასით ფრონტელებს საჩუქრები გუგზავნა. მალანაყოფიერად მუშაობენ კომბინატის სტახანოველი ქალები ელ. ბენიძე, ე. სხალაძე, ფ. ცინცაძე და სხვ.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მეოთხე საამქროს კომკავშირული ბრიგადა, რომელშიც კომკავშირელები თ. აბობაძე, ა. მაღრაძე, სოფრომოვი, სალაძე შედიან, საწარმოო გეგმებს სისტემატურად 200-250 პროცენტით ანადღებს.

საიუბილეო საჩუქრები

ცხაკაიას რაიონში კომკავშირის XXV წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 4.000-ზე მეტი კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა. მათ პირნათლად შეასრულეს სოციშეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. სოფ. უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა, ორგზის მედალოსანმა ნაზია კუჭავამ 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის ნაცვლად 2.500 კილოგრამი მოკრიფა.

ბათუმის სავაგონო უბნის ახალგაზრდობამ გეგმის ზევით რემონტიდან გამოუშვა რამდენიმე ათეული ვაგონი.

კობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. კომკავშირელი ხერია მოწყობილი მანდარინის მოსავლის აღებაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

მიეცეს ფრონტსა და ქვეყანას!

მზიური აჭარის კომკავშირული ორგანიზაციები აჯამებენ თავიანთ ნამუშევარს და ამოწმებენ იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომელნიც მათ იკისრეს ოუბილეს შესახვედრად.

პატაკა იძლევა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული 208 სასოფლო კომკავშირული ორგანიზაცია, საკოლმეურნეო მინდვრებში მომუშავე 103 კომკავშირული ბრიგადა და 315 კომკავშირული რგოლი. პატაკა იძლევა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული 4 ათასი კომკავშირელი კოლმეურნე და 2.700-ზე მეტი კავშირგარეშე ახალგაზრდა.

მოდიან ისინი თავიანთ დღესასწაულზე საკოლმეურნეო ხვაითა და ბარაქით დატვირთულნი.

მოაქვთ თავიანთი შრომით მონაგარი ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი, მოაქვთ სიმინდი, კარტოფილი, რძის პროდუქტები, მოაქვთ თამბაქო.

— მიეცეს ფრონტსა და ქვეყანას!

— სოციალიზმის ქვეყნის დამცველებს!

აჭარის კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ მოჰკრიფეს 6 მილიონი კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შეაკეთეს 3.660 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანა, 28 სასიმინდე, 35 ურემი. აიღეს სიმინდის მოსავალი 2 ათას ჰექტარზე და დამზადეს 91 ტონა თივა.

კომკავშირელებმა თავიანთი სიტყვა საქმედ აქციეს. თავიანთი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს.

ახლოდება ციტრუსების მასობრივად კრეფის სეზონიც. დღემდე გადამწყვანებული ნარინჯის ველები მალე შეიქარვება. კვლავ ჩადგება ოჭროს თვალი ციტრუსოვანთა ბაღნარებში, და მანდარინის, ლიმონის თუ ფორთოხლის ნაყოფის მოსაკრეფად დარაზმული აჭარლები კვლავ ახალ საჩუქრებს გაუგზავნიან შემტევ წითელ არმიას, სოციალისტურ სამშობლოს!

ნ. პაიჭაძე

მ. ბალავაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გზა

საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი — საკ. ალკკ-ის ერთ-ერთი უძველესი რაზმი — ჩაისახა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების ისტორიულ დღეებში.

დიდი სტალინის მიერ შექმნილი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდნენ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში პოლიტიკურ მუშაობას, მის ორგანიზაციულ გაერთიანებას. ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებამ ახალგაზრდობის კავშირების შესახებ ხელი შეუწყო საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების შექმნის, დაჩქარა მათი ჩამოყალიბება.

1917 წლის 3 სექტემბერს ბორის ძნელაძის ხელმძღვანელობით თბილისის ავლაბრის ფაბრიკებში, კახეთის მოედანზე, მოწვეულ იქნა რევოლუციური ახალგაზრდობის საქალაქო კრება. ამ კრების ხელმძღვანელობაში მონაწილეობას იღებდა ამხანაგი ანასტას მიკოიანი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა მოწინავე რევოლუციურ ახალგაზრდობას და სოციალისტურად უთმობდა ყურადღებას ახალგაზრდა მუშათა და მუშა ქალთა შორის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას. კრებაზე ჩამოყალიბებულ იქნა რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაცია „სპარტაკი“. კრებამ დაამტკიცა წესდება, აირჩია დროებითი კომიტეტი და მოწოდებით მიმართა ამიერ-კავკასიის მთელ მუშურ ახალგაზრდობას გაერთიანებულიყო ბოლშევიზმის დროშის ქვეშ და დაიწყო ბრძოლა მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

ამ მომენტიდან იწყება საქართველოს კომკავშირის ისტორია, რომლის მთელ მანძილზე იგი ღირსეულად ინარჩუნებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ერთგულ და სიმტკიცე თანაშემწის, სანდო ლენინური ლეკრეულ ხანატიო წოდებას.

გმირობისა და მამაცობის არა ერთი მაგალითი გვიჩვენა კომკავშირმა მენშევიკური ულის ჩამოგდებისათვის ბრძოლაში. კომკავშირის მიერ აღზრდილი საქართველოს საუკეთესო შვილები მიდიოდნენ ბრძოლის მოწინავე და ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე, იბრძოდნენ სოციოლის დაუზოგავად. კომკავშირი აქტიურად ეხმარებოდა ბოლშევიკურ პარტიას პარტიზანული რაზმების შექმნაში, არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვასა და გავრცელებაში, მარჯვნის მასობრივი პროპაგანდის ორგანიზაციაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ფართო ასპარეზი გადაშალა ქართველი ხალხის ნაციონალური, ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის.

და სოციალისტური მშენებლობის თითეული უბანზე საქართველოს კომკავშირი იყო და არის ბოლშევიკების პარტიის უახლოესი თანაშემწე, ახალგაზრდობის მასებში მისი გენერალური ხაზის მებრძოლი გამტარებელი.

კომკავშირის საქმიანობა ღირსეულად იქნა შეფასებული. მისი არსებობის XV წლისთავზე, 1932 წელს, საქართველოს კომკავშირი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მებრძოლ, ინიციატივიან თანაშემწეს უწოდებდა კომკავშირს საქართველოს ახალგაზრდობის საყვარელი მეგობარი და აღმზრდელი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით იზრდებოდა საქართველოს კომკავშირი, იწრთობოდა სტალინური ტრადიციების ლოგოს ქვეშ, ვაჟკაცდებოდა ბრძოლასა და შრომაში.

იქუხა დიდმა სამამულო ომმა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვიდროსისიოცხლო ბრძოლაში ახალგაზრდობა კიდევ უფრო ენერგიულად და გამოიწვრთო, კიდევ უფრო მეტად გაიმსჭვალა თავისი სამშობლოს ბედ-იღბლისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

და ახლა, სახელოვანი წლისთავის დღეს, საქართველოს კომკავშირი უპატაკებს ბოლშევიკურ პარტიას, თავს მამასა და მასწავლებელს, დიდ სტალინს საბრძოლო საქმეებს შესახებ ფრონტის დასახმარებლად, თავისი მონაწილეობის შესახებ მოსისხლე მტრის საბოლოო განადგურებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

ომის პირველივე დღეებიდან, ასრულებდა რა დიდი სტალინის მითითებებს მთელი მუშაობის საბრძოლო ყაიდაზე გარდაქმნის შესახებ, საქართველოს კომკავშირმა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ახალგაზრდობა დარაზმა ფრონტისათვის თავდადებული დახმარების გასაწევად.

სამამულო ომის დღეებში წითელ არმიაში წავიდა 100 ათასზე მეტი კომკავშირელი. მამაცურად და მტკიცედ იბრძვიან ისინი ფრონტებზე.

ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ათზე მეტ კომკავშირელს და საქართველოს კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დაახლოებით ათასი — დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მრავალი სახელოვანი საგმირო საქმე ჩასწერეს სამამულო ომის მატიანეში საქართველოს კომკავშირის ცხრმრმა შვილებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა ნოე ადამიამ, ხარაზიამ, კანკავამ. მათ საგმირო საქმეებს, მათს მაგალითს ჰბაძავს საქართველოს ახალგაზრდობა.

სეგასტოპოლის გმირული დაცვის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერილია საზღვაო ქვეითი ჯარის უმცროს მეთაურ ნოე ადამიას სახელი. იგი დისციპლინირებული და უშიშარი მეომარი იყო. სნაიპერული ცეცხლით იგი მარჯვედ და აუცდენლად ულეტდა ფაშისტ მხეცებს. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გულადობისათვის, უშიშრობისა და ინიციატივისათვის საშამბლომ მას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიანიჭა.

საბჭოთა კავშირის გმირის პოლიტხელ ვლადიმერ კანკავას სახელს კარგად იცნობდენ გერმანელები. იგი უშიშრად გამოჩნდებოდა ხოლმე ბრძოლის ყველაზე სახიფათო უბნებზე, სიკვდილი და არევ-დარევა შეჰკრთოდა მტრის რიგებში. ბრძოლის ერთ-ერთ უბანზე დაძაბული ვითარება შეიქმნა. ფაშისტთა ტანკები მოიწევდნენ და ცდილობდნენ გადაეთელათ ჩვენი საბრძოლო წყებები. თავიანთი მეთაურის მაგალითით აღფრთოვანებულ მებრძოლებს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. ისინი მტკიცედ იდგნენ. გერმანელები უკუგდებულ იქნენ. მათი ტანკები დამსხვრეულ იქნა.

ომის პირველივე დღეებიდან მამაცურად იბრძოდა ფრონტზე კომკავშირის აღზრდილი საბჭოთა კავშირის გმირი უფროსი ლეიტენანტი ეკლადიმერ ხარაზია. 1942 წლის გაზაფხულზე, სასტიკ ბრძოლებში იმ დივიზიონმა, რომელსაც ამხ. ხარაზია მეთაურობდა, მტრის რამდენიმე ათეული იერიში მოიგერია.

სატანკო ჯარების კაპიტან ბორის სტურუას მოკლე საბრძოლო ბიოგრაფია აღსავსეა მტერთან გმირული, თავდადებული ბრძოლის მაგალითებით. შეიჭრა რა თავისი ტანკით მტრის ზურგში, მან დიდი სატანკო კოლონის მოძრაობა შეწინაწა. საშამბლოს მამაცი შვილი ერთ წუთსაც არ შეყოყმანებულა. მან გაანადგურებელი დარტყმა აგება რიცხობრივად ჭარბ მტერს.

გმირ კომკავშირელთა — ხურცილავის, ჩხარტიშვილის, ჩხიკვიშვილის, ურიდიას და სხვათა საგმირო საქმეები ახალ-ახალი საგმირო საქმეებისათვის აღფრთოვანებენ ახალგაზრდა მებრძოლთ სამშობლოს სასახელოდ, გამარჯვების მისაღწევად.

საბჭოთა ზურგის კომკავშირელები განუწყვეტლივ უმზადებენ ფრონტს საბრძოლო რეზერვებს. ისინი აწრთობენ თავიანთ სტეულს, ავარჯიშებენ კუნთებს, ეუფლებიან სამხედრო ცოდნას, ემზადებიან რა მტერთან გადამწყვეტ შეტაკებათათვის, ბევრ ენერგიას ხარჯავს ახალგაზრდობა სამხედრო საქმის შესასწავლად.

კომკავშირელთა ძალებით მოწყობილია საყოველთაო სამხედრო სწავლების 500-ზე მეტი სამხედრო-სასწავლო პუნქტი, დამზადებულია სხვადასხვა სახის სამხედრო-სასწავლო ხელსაწყოების 2.500-ზე მეტი კომპლექტი.

საყოველთაო სამხედრო სწავლების სისტემაში შექმნილ ახალგაზრდულ-კომკავშირულ ქვეგანაყოფებში მომზადებულია სხვადასხვა სპეციალობის 15.000 მებრძოლი, რომლებიც ამჟამად წითელი არმიის რიგებში იმყოფებიან.

და ეს, რომ 1943 წლის ზაფხულის პროფკავშირულ-კომკავშირულ კრებაზე საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა შორის პირველი ადგილი დაიკავა, მოწმობს სამხედროფიზკულტურული მუშაობის ფართო გაქანებას.

ომიანობის ვითარებამ სახალხო მეურნეობას ახალი უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა. ომის პირველივე დღეებიდან საქართველოს კომკავშირმა მთელი ახალგაზრდობა დარაზმა ომიანობის დროის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, კომკავშირელთა ინიციატივით, ფართოდ გაჩაღდა ორასოვანთა მოძრაობა. კომკავშირელთა შორის თითქმის არ არიან ისეთები, რომლებიც ნორმას არ ასრულებდნენ, სამაგიეროდ ჩვეულებრივი გახდა გეგმის 200-300 და მეტი პროცენტით შესრულება. დღითი-დღე იზრდებიან ახალგაზრდა ათასოვან მუშათა რიგები.

კომკავშირმა საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობა დარაზმა მაღალი სამხედრო მოსავლისათვის საბრძოლველად.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში წარმატებითი მონაწილეობისათვის გორის რაიონის კომკავშირელებს (რაიკომის მდივანი ამხ. რთველიაშვილი) მიენიჭათ საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო გურჯაანის რაიონის სოფ. შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციას (მდივანი ამხ. კოლოტაძე) გადაეცა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპატიო სიგელი.

1943 წლის თებერვის კამპანიაში კომკავშირელთა საუცხოო მაჩვენებლებმა და აქტიურმა მონაწილეობამ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ჩააყენა საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატთა რიცხვში.

ახალი შრომითი საგმირო საქმეებით აღნიშნავს საქართველოს ახალგაზრდობა ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვან XXV წლისთავს.

ჯერ კიდევ 1943 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდა მუშებმა საქართველოს მთელ ახალგაზრდობას მიმართეს მოწოდებით კიდევ უფრო მეტად გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება, კომკავშირის სახელოვანი XXV წლისთავი აღნიშნოს ახალი შრომითი საგმირო საქმეებით ჩვენი სამშობლოს სასახელოდ, ჩვენი გამარჯვების მისაღწევად.

სტალინის სახელობის ქარხნის მიმართვამ საქართველოს მთელ ახალგაზრდობაში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მიმართვის გამოქვეყნების პირველსავე დღეებში შეჯიბრებაში ჩაება ასობით კომკაშირული ორგანიზაცია, ათასობით კომკავშირელი და ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე.

საქართველოს ახალგაზრდობა პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. შეჯიბრების ინიციატორებმა — სტალინის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა მუშებმა — მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მათ მიერ აღებული ბევრი ვალდებულება.

არ ჩამორჩება საქართველოს სხვა საწარმოთა ახალგაზრდობაც.

„ტყვარჩელქვანახშირის“ ახალგაზრდა მალარიელებმა მთავარი სარდლობის განსაკუთრებული ფონდის

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
27 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

27 ოქტომბრის განმავლობაში დნეპრის ქვემოწელის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა გაატარებული ბრძოლების შედეგად გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა დნეპრიდან აზოვის ზღვამდე გაჭიმულ ფრონტზე, დაედევნენ მის უკანდახეულ ჯარებს, წინ წაიწიეს 10-დან 30 კილომეტრამდე და დაიკავეს 90-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრები ვასილიევკა, მიხაილოვკა, აკიმოვკა, დიდი დასახლებული პუნქტები სკელკა, ორლიანსკი, ტიმოშევკა, მატვეევკა, ნოვო-ივანოვკა, ნოვო-უსპენოვკა, ნოვაია ალექსანდროვკა, პეტროვკა, ალექსანდროფელდი, ტერნოვკა 1-ლი, შელიუბი, ეფრემოვკა, კირილოვკა, გორელოე და რკინიგზის ხადგურები ჩოკრაკი, გურჩაცკი, პრიშიბი, ალოდოროდიე, ფიოდოროვკა, აკიმოვკა. ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად უკანდახევისას მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დნეპრის მოსახვევში, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 6-დან 15 კილომეტრამდე და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი კრინიჩკი, დიდი დასახლებული პუნქტები ადამოვკა, ელენოვკა, კარანუზოვსკიე ხუტორა, ნოვოსელოვკა, სურსკო-ლიტოვსკოე, ნოვო-ნიკოლაევკა, სურსკო-მიხაილოვკა, პეტროვსკოე, პრიგოლნაია სერგეევკა, ვოლნი და რკინიგზის ხადგურები სურსკოე, პრიგოლნოე.

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ქალაქ ვიტებსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა შედეგადაც წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ჩურილოვო, ლიუპკი, ხალიუპი, ზაიკოვო, ლეშკოვო, პონიზოვიე, დროზდი, პაპოროტნო, კოზაკოვო, ავტუშკოვო, ზადუბროვიე. ამრიგად ნეველ-უსვიატის გზატკეცილი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან.

ფრონტის სხვა უბნებზე გაძლიერებული ზვერვა და საარტილერიო-სანალმმტყორცნო სროლაა.

26 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 42 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 49 თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის ქვემოწელის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენმა მოძრავმა ნაწილებმა, დაიკავეს ორა რაიონული ცენტრი ვესიოლოე, სწრაფად წაიწიეს დასავლეთისაკენ, გადასჭრეს სამი გუმპოგისებული ყოკრიგზა და ხელთ იგდეს მრავალი ტყვე, გერმანელთა 20 ტანკი, 17 თვითმავალი და 120 საველე ქვემეხი, 12 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი. მოწინააღმდეგეს წავართვეთ ბევრი ავტომანქანა და საზიდარი ტვირთიანად და საქონლის დიდი ჯოგები. განთავისუფლებულია 10.000-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, რომელთაც გერმანელები მიერეკებოდნენ გერმანიის კატორღაში. დღეს ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა დნეპრიდან აზოვის ზღვამდე გაჭიმულ მთელ ფრონტზე, დაედევნენ უკანდახეულ გერმანელთა ჯარებს და დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური აკიმოვკა (ქალ. მელიტოპოლის სამხრეთით), რაიონული ცენტრები ვასილიევკა და მიხაილოვკა (ქალ. მელიტოპოლის ჩრდილოეთით) და 90-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 3.000-ძდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 28 ტანკი და 90 ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ დიდი დაკლა. მოწინააღმდეგე, ჩვენი ჯარების დარტყმებისგან შედეგად უკანდახევისას, სტოვებს არტილერიას, ნაღმსატყორცნებს, საომარ მასალებსა და სამხედრო ქონებას.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა გერმანელთა ჯარებს და მძიმე ზარალი მიაყენა მათ. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 28 თვითმფრინავი.

* * *

დნეპრის მოსახვევში, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მოწინააღმდეგე ძლიერი ცეცხლთა და კონტრიერიშებით ცდილობდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა, მაგრამ დიდი ზარალი ნახა და კვლავ უკუგდებულ იქნა. გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულია 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი კრინიჩკი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. მარტო 5 შენიერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს წაართვეს 48 ქვემეხი, 40 ნაღმსატყორცანი, დიდძალი შაშხანა და ავტომატი, 2 სწყობი საომარი მასალა და 5 საწყობი სურსათი.

საბჭოთა ავიაცია დღისითა და ღამით ბომბავდა გერმანელთა თავმოყრილ სამხედრო ეშელონებს ალოსტოლოვოს რკინიგზის კვანძზე. დაბომბვის შედეგად აფეთქებული და დამტვრეულია დიდძალი პლატფორმა და ვაგონი მოწინააღმდეგის ტექნიკისანად. ბევრგან გაჩნდა ხანძარი, რასაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი.

* * *

კრივოი როგის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 5 შენიერთის [illegible] მტრის შეიბოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გერმანელებმა სცადეს აღედგინათ მდგომარეობა და ტანკების დიდი ძალები გადმოიყვანეს კონტრიერიშებზე. ჩვენი არტილერიისა და გვარდიელ ნაღმმტყორცნელთა ნაწილების ცეცხლით ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. სხვა უბანზე ჩვენი მებრძოლნი ერთ დასახლებულ პუნქტში გარს შემოერტყნენ გერმანელთა ერთ ბატალიონ ქვეითს ჯარს. მიუხედავად ჰიტლერელთა გაფთრებული ცდებისა, რომ გარშემორტყმისათვის თავი დაეღწიათ, დღის დამლევისათვის მოწინააღმდეგის ბატალიონი სავსებით იქნა განადგურებული, ხოლო მისი ნაშთები წამოყვანილი არიან ტყვედ. ხელთ ვიგდეთ დაკლა, მათ შორის 8 ქვემეხი, 7 ექვსლულიანი ნაღმსატყორცანი, 42 ტყვიამფრქვევი, საომარი მასალებისა და სურსათის საწყობი.

დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, დასძლიეს რა მტრის ცეცხლოვანი წინააღმდეგობა და საინჟინრო ზღუდეთა განვითარებული სისტემა, დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ნეველ-უსვიატის გზატკეცილი მთელ მის მანძილზე გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. ერთ უბანზე 5 ნაწილის მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული კვანძი და გაძლიტეს 600-მდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 2 საარტილერიო ბატარია, 8 ნაღმსატყორცნი და საომარ მასალათა 2 საწყობი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი „საბჭოთა მურმანი“ თავს დაესხა მოწინააღმდეგის გარნიზონს. პარტიზანებმა მოჰკლეს 30-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი, დასწვეს სურსათის საწყობი და ბენზინის ბაზა. რაზმმა „წითელმა პარტიზანმა“ ორ დასახლებულ პუნქტში გაანადგურა ფინელთა გარნიზონები. გაფთრებულ შეტაკებაში საბჭოთა პატრიოტებმა 60-მდე თეთრფინელი გაძლიტეს და ხელთ იგდეს დაკლა და ტყვეები.

* * *

ზაპოროჟიეს რაიონში ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 333-ე ქვეითი დივიზიის 681-ე პოლკის მე-6 ასეულის ჯარისკაცმა გეორგ რიხტერმა განაცხადა: „ოფიცრები გვეუბნებოდნენ: არის ფიურერის ბრძანება—ერთი ნაბიჯითაც კი არ დიხიოთ უკან და დიიცავთ ზაპოროჟიეს პლაცდარმი, გიდრე უკანასკნელი ჯარისკაცი შეგრჩენიათო. პოლკის მეთაურმა გამოგვიცხადა: „ჩვენ აქედან არ წავალთ, ვინაიდან ჩვენ მიუვალი პოზიციები და საკმაო ძალები მოგვეპოვება თავდაცვისათვის. ჩვენ აქ გამოვიზამთრეთო“. მაგრამ ჩვენი ზარალი მეტად დიდი იყო, ხოლო რუსების შემოტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენ ვერ გავუძელით. შეთხეულებული ასეულები პანიკურად გაიქცნენ. მე შესახვევ პუნქტამდე გავიქეცი მე-5 ასეულის მეთაურთან ერთად. იქ განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდნენ დაჭრილნი. ამ პუნქტის მახლობლად რომელიღაც კაპიტანი ცდილობდა შეეჩერებინა ჯარისკაცნი, რომელნიც გარბოდნენ. ის ყ�—ჩვენდა დასახმარებლად „ვეფხვები“ მოდიანო, მაგრამ ჯარისკაცები მას ყურს არ უგდებდნენ და აქეთ-იქეთ გაიქცნენ“. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 335-ე ქვეითი დივიზიის 683-ე პოლკის მე-6 ასეულის ჯარისკაცმა შტელცერმა განაცხადა: „ჯარისკაცთა განწყობილება მეტად მძიმეა. ყველა ფიქრობს, რომ დასაღუპავად ვართ განწირულნი. ჩვენი ბატალიონი სამჯერ გაიქცა დაკავებული პოზიციებიდან. მხოლოდ დახვრეტის მუქარით შესძლეს ოფიცრებმა დროებით შეეჩერებინათ ჯარისკაცები, მაგრამ რუსებმა სულერთია უკუგვაგდეს და საშინელი ზარალი მოგვაყენეს. მე არ მინდოდა უაზროდ დავღუპულიყავი და ჯარისკაცთა ჯგუფთან ერთად ტყვედ დაგნებდით“.

დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით

უკრაინის მესამე ფრონტი, 26 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ფართო უსაზღვრო ველი გადაჭიმულა დნეპროპეტროვსკის გაღმა. ამ ველზე დღედაღამ გრიალებენ ზარბაზნები. გავაოვარებულ ჰაერში ისმის ბომბდამშენთა მოტორების განუწყვეტელი გუგუნი. შხუილით მიჰქრიან ელვასავით სწრაფი ავიაგამანადგურებლები და მოიერიშენი. წამდაუწუმ გაისმის ბომბების გასკდომის გრგვინვა.

საბჭოთა ჯარების მიერ დნეპროპეტროვსკაია და დნეპროძერჟინსკის დაკავების შემდეგ გრანდიოზულმა ბრძოლამ დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინის სამხრეთ ნაწილში გადაინაცვლა. ადგილმდებარეობა აქ მეტად საძნელოა შეტევისათვის და მოხერხებულია თავდაცვისათვის, ფართო მინდვრები დასერილია ხევებით, ღრანტეებითა და ველის პატარა მდინარეებით, დაფარულია გორაკებითა და ყორღანებით.

დნეპრიდან უკუგდებული მოწინააღმდეგე შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს, მთელ ძალ-ღონეს ხმარობს, რათა დანაკეტულ ადგილმდებარეობას ჩაებღაუჭოს. საბჭოთა ჯარები, დნეპრზე მოპოვებული წარმატებებით ფრთაშესხმულნი, განუწყვეტლივ აძლიერებენ თავიანთ დარტყმებს, ამსხვრევენ მტრის თავდაცვას და ბრძოლებით მიიწევენ წინ სულ უფრო და უფრო შორს—სამხრეთისაკენ. გერმანელებისაგან უკვე მთლიანად გაწმენდილია დნეპრის მარჯვენა ნაპირის მნიშვნელოვანი უბანი. მოწინააღმდეგემ გაძლიერა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ქვეგანაყოფებით კონტრიერიშების მოტანა.

ჩვენი ნაწილები მტრის წინააღმდეგობას ამსხვრევენ და გერმანელებს ზედიზედ არიმეტენ ზღუდეებს. სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა დნეპრთან—დასახლებული პუნქტების ჯგუფისათვის. პატარა მდინარე, რომელიც ამ ადგილას სხვადასხვა მხრით გაწოტოვდება, და მდინარას გაყოლებით მჭიდროდ განლაგებული რამდენიმე სოფელი თავდაცვისათვის ძალიან მოხერხებულ წინააღმდეგობის ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენენ. ფაშისტებმა აქ დიდძალ ცეცხლითს საშუალებებს მოუყარეს თავი. მაგრამ ჰიტლერელებმა ვერ შესძლეს ჩვენი წინსვლის შეჩერება. ნ მსროლელმა ნაწილმა შემოვლითი მანევრებით აიძულა მოწინააღმდეგე დაენაწილებინა თავისი ძალები, შემდეგ კი გადავრით დაარტყა მტრის თავდაცვის თვით ცენტრს. დარტყმა ისე უეცარი, ისე მძაფრი და ძლიერი იყო, რომ გერმანელებმა მთელი ტექნიკა და საბრძოლო მასალა მიატოვეს და უკან დაიხიეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 12 სავსებით ჯარიანი ქვემეხი და ყუმბარების დიდი მარაგი. ბრძოლის ველი მჭიდროდ იყო მოფენილი გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით.

ასე იბრძვიან საბჭოთა მეომრები მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, რომელიც წინაპართა ისტორიული საბელით არის მოსილი. ამ ტრამალიან სივრცეებში ოდესღაც მიუძღოდა თავის ზაპოროჟიეს ჯარს უკრაინელი ხალხის დიდი შვილი ბოგდან ხმელნიცკი. ახლა აქ საბჭოთა მეომრები მუსრს ავლებენ გერმანელ ფაშისტთა არმიას. მტერს დიდი ზარალი მოსდის. ტყვე ობერ-ეფრეიტორმა პოლკმაჯერმა დაკითხვაზე განაცხადა:

— დნეპრის ჯაღმა წარმოებული ბრძოლები სამუდამოდ დარჩება იმათ ხსოვნაში ჩვენთაგან, ვინც ცოცხალი იქნება, ასეთები კი ძალიან ცოტანი აღმოჩნდებიან. სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ჩვენ ისეთი ზარალი მოგვვიდა, რომ ბევრმა ასეულმა არსებობა შესწყვიტა. მე სიკვდილამდე არ დამავიწყდება მომენტი, როცა რუსები საიერიშოდ გვეკვეთნენ. ჩვენი რიგები შედრკნენ. საშინელი პანიკა და არევ-დარევა შეიქმნა. ყველაფერი აირია. რუსები კი გვირტყამენ და გვირტყამენ.

საბჭოთა მებრძოლნი დღითი დღე ზრდიან მტრის ზარალს, სჩადიან დიდ საგმირო საქმეებს. როსტოვის ოლქის სტანიცა მოროზოვსკაიას დონელი კაზაკის შვილი კირილე ვორონკინი შედიოდა იმ პირველ ჯგუფში, რომელიც დნეპრზე გადავიდა. დასავლეთ ნაპირზე მტერი გაბედულ ვეკაცებს ცეცხლის ნიაღვრით შეხვდა. ერთი წამით დაყოვნებას შეეძლო არევ-დარევა გამოეწვია. ვორონკინი თავის ოცეულით წინ გაეშურა და ხელჩართული ბრძოლა გაუმართა გერმანელებს. მეთაურის მამაცობამ აღაფრთოვანა მებრძოლნი. ვორონკინმა გაცხარებულ შეტაკებაში ხიშტით განგმირა 10 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი უნტერ-ოფიცერი. გერმანელებმა ხიშტის დარტყმას ვერ გაუძლეს, სანგრებიდან გამოცვივდნენ და გაიქცნენ. მეორე დღეს გერმანელებმა კონტრიერიშში მოიტანეს. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს კონტრიერიშები. ნახევარი საათის შემდეგ ჰიტლერელებმა კონტრიერიში გაიმეორეს შემდეგ ისინი კვლავ და კვლავ ებმებოდნენ ბრძოლაში და ყოველთვის მტერ გააფთრებენ.

დადგა მომენტი, როცა ჩვენი მებრძოლნი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. და აქ თავისი მამაცობითა და მეთაურის მოსაზრებულობით კვლავ ისახელა თავი კირილე ვორონკინმა. მან სწრაფად გაიყვანა თავისი ოცეული მოწინააღმდეგის ფლანგზე და ავტომატების ძლიერი ცეცხლი დაუშინა მტერს. გერმანელებმა უკან დაიხიეს.

ი. ლაპონოგოვი.

საბჭოთა საქართველოდან

საოქტომბრო საგუქრეტი ციტლის არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს

გორი

გორის რაიონის მშრომელები დიდძალ საოქტომბრო საჩუქრებს უგზავნიან ფრონტელებს. რამდენიმე დღის წინათ უკვე გაიგზავნა 2 ვაგონი საჩუქრები.

იმყამად შეგროვებულია 10.000 კილოგრამი ხილი, 500 კილოგრამი კაკალი, 8.000 ლიტრი ღვინო, 500 ლიტრი არაყი, 50 კილოგრამი თაფლი, 300 ფრთა ქათამი, 200 კილოგრამი ყველი, 300 წყვილი წინდა და ხელთათმანი.

საჩუქრების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს ზემო ტყვიავის, მეჯუდის პირის, ჯატარა მეჯვრისხევის, ქვემო ტყვიავის, ჯარიაშვილის და სხვ. კოლეუურნეობებში.

შ. ჩუბინიძე

ზესტაფონი

ზესტაფონის რაიონის მშრომელებმა წითელი არმიის მებრძოლებს საოქტომბრო საჩუქრად გაუგზავნეს 3.000 კილოგრამი ხილი, 1.370 ლიტრი ღვინო, 194 ლიტრი არაყი, 257 კილოგრამი ყველი, 111 ქათამი, 17 ცხვარი, 12 გოჯი, 184 წყვილი წინდა და ხელთათმანი.

ჯ. ჭიოკაძე

ცხაკაია

21 ოქტომბერს გასაგზავნად შეგროვებული და გამზადებული იყო 950 კილოგრამი ხორცი, 700 კილოგრამი ყველი, 750 ფრთა ფრინველი, 70 გოჯი, 2.500 კილოგრამი ხილი, 2.000 ლიტრი ღვინო, 400 ლიტრი არაყი, 120 კილოგრამი თაფლი. გარდა ამისა, შეგროვებულია დიდძალი თამბაქო, ჩურჩხელები, თბილი წინდები და სხვა საჩუქრები.

საჩუქრების შეგროვება დიდი წარმატებით გრძელდება.

ხ. კუჭავა

ტყიბული

სოფ. ძმუისის კოლეუურნეობა „ხალიმში“ (თავმჯდომარე ი. ლომთაძე) შეგროვებულია 253 კილოგრამი კაკალი, 325 კილოგრამი კარტოფილი, 53 ლიტრი არაყი, 25 კილოგრამი თაფლი; კისორეთის კოლეუურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (თავმჯდომარე ა. ცირკაძე) შეგროვებულია 300 კილოგრამი კარტოფილი, 284 კილოგრამი კაკალი, 41 ლიტრი არაყი, 200 კილოგრამი მსხალი, 31 კილოგრამი თაფლი; მუხურის კოლეუურნეობა „ოქტომბერში“ (თავმჯდომარე ა. გაბარჩაძე) შეგროვებულია 300 კილოგრამი კარტოფილი, 309 კილოგრამი ვაშლი; სოფელ მუხურის კიროვის სახელობის კოლეუურნეობაში—125 კილოგრამი კარტოფილი და 422 კილოგრამი ვაშლი.

სულ რაიონში 22 ოქტომბრისათვის შეგროვებული და ჩაბარებულია გასაგზავნად 8½ ტონა კარტოფილი, კაკალი, ხილი, თაფლი, ღვინო, არაყი და სხვ.

მაღაროელები და მოსამსახურეები წითელი არმიისათვის დიდძალ საოქტომბრო საჩუქრებს აგზავნიან. საჩუქრების შეგროვება გრძელდება.

დ. საბელაშვილი

საგარეჯო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა წითელი არმიისათვის დიდძალი საჩუქრები შეაგროვეს.

საჩუქრებში შედის 2.102 კილოგრამი ხორცი, 210 ქათამი, 5 ტონა ხილი, 1.511 ლიტრი ღვინო, 163 კილოგრამი ყველი, 143 კილოგრამი თაფლი, 130 კილოგრამი ერმო-კარაქი, 50 კილოგრამი ნაზუქი, 876 კილოგრამი კაკალი, 570 კილოგრამი ჩირი, 92 კილოგრამი ჩურჩხელა და სხვ. საჩუქრებით დატვირთული ორი ვაგონი საზღვარი ვითარებაში გავიდა სადგურიდან 25 ოქტომბერს.

გ. ზუკაკიშვილი

საქართველოს სსრ ფინსახკომმა საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ ფინსახკომმა პირველი ადგილი დაიკავა და მას მიეკუთვნა სსრ კავშირის ფინსახკომისა და საფინანსო-საბანკო მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი პრემია 100 ათასი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს საფინანსო ორგანოებმა, რომლებიც ჩაბმული იყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით იმუშავეს და კვარტალის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს.

სოცშეჯიბრებით აღებული ვალდებულებები წარმატებით გაანაღდეს თეთრი წყაროს (რაიფინგანის გამგე ირემაშვილი), ორჯონიკიძის (რაიფინგანის გამგე ფერაძე), აბაშის (რაიფინგანის გამგე ოჩიგავა), წითელწყაროს (გამგე ლორთქიფანიძე) რაიონებმა. მათ მესამე კვარტალის გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს.

გეგმების შესრულებაში კარგი მიღწევები აქვთ აგრეთვე ქუთაისის (რაიფინგანის გამგე ლეშკაშელი), წყალტუბოს (რაიფინგანის გამგე კიკალიშვილი), წალენჯიხის (რაიფინგანის გამგე სახოკია), მახარაძის (რაიფინგანის გამგე უჯამჯურიძე), კასპის (რაიფინგანის გამგე ალიბეგაშვილი), ბოლნისის (რაიფინგანის გამგე ჩიტაიშვილი), ხიზანის (რაიფინგანის გამგე ვაშაკიძე), ჭიათურის (რაიფინგანის გამგე ტყემალაძე) რაიონებს და აფხაზეთის სსს რესპუბლიკას (ფინსახკომი მათითაშვილი), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს (საოლქო ფინგანის გამგე ხარებოვი), ხოლო ქალაქთა შორის თბილისს, ქუთაისსა და ფოთის საფინანსო ორგანოებს.

ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის ბილეთების გავრცელება საქართველოში

ფულისა და ნივთების მესამე ლატარიის ბილეთებზე ხელის მოწერა რესპუბლიკაში კვლავ წარმატებით გრძელდება. საქართველოს სსრ შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, 27 ოქტომბრის ღამის 10 საათისათვის საქართველოში გავრცელებული იყო 97.643 ათასი მანეთის ლატარიის ბილეთები, აქედან 75.322 ათასი მანეთისა გავრცელებულია სოფლად. სულ ნაღდად შეტანილი იყო 69.139 ათასი მანეთი.

თბილისში 28 ოქტომბრის ღამის 10 საათისათვის ბილეთებზე ხელის მოწერის თანხამ 10.360 ათას მანეთს მიაღწია. აქედან ნაღდად დაფარულია 229 ათასი მან.

ლატარიის ბილეთებზე ხელის მოწერა გრძელდება.

სამეცნიერო სესია

26 ოქტომბერს გაიხსნა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საკ. ალკა 25 წლისთავისადმი. დღის 3 საათზე შესდგა პლენარული სხდომა, რომელიც გახსნა უნივერსიტეტის ალკა კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ქვარცხავამ.

მოხსენებით თემაზე „კომკავშირის სახელოვანი გზა“ გამოვიდა საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი პრობაგანდის დარგში ამხ. დ. მჭედლიშვილი. შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ: ასპირანტი დ. გამეზარდაშვილი — „პატრიოტული და საგმირო მოტივები ვაჟა-ფშაველას პოეზიაში“, ლაბორანტი ო. მელია—„ყაზბეგის რაიონის მიკოფლორა და მისი ვერტიკალური ზონალობა“.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი.

ამით დასრულდა პლენარული სხდომა. შემდეგ მუშაობა გადატანილ იქნა სექციებში. 26 და 27 ოქტომბერს მოსმენილ იქნა მოხსენებები საზოგადოებრივ მეცნიერებათა და საბუნებისმეტყველო სექციებში.

27 ოქტომბერს სესიამ მუშაობა დაამთავრა.

მწერალთა კავშირში

30 ოქტომბერს მწერალთა კლუბში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აწყობს კომკავშირის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვრულ-ლიტერატურულ საღამოს. საღამოზე საქ. ალკა ც. კ-ის მდივანი ამხ. დ. მჭედლიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „კომკავშირის გმირული გზა“. სიტყვებით გამოვლენ შ. დადიანი, კ. გამსახურდია, კ. ლერონტიფანიძე და დ. შენგელაია. საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, რ. გვეტაძე, ს. ეული, ა. თევზაძე, კ. კალაძე, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ა. საჯაია, გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობენ ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრების და მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობები.

საღამოზე დასწრება თავისუფალია. დასაწყისი 8 საათზე.

ლექციები და მოხსენებები

29 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. ათაბეგოვის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ცვლილებანი ომის მსვლელობაში და კრიზისი ფაშისტთა ბანაკში“.

29 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. სულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ხალამულო ომის მიწდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

თეატრებში

29 ოქტომბერს: სახოპერა—„კარმენი“. მარჯანიშვილის—„სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილი“. გრიბოედოვის—„ჰაბუკი ჩვენი ქალაქიდან“. ხოშბურის—„აღმოსავლეთის დანტისტი“. ახუნდოვის—„ფეხრად და შირინი“. მუსკომედიის—„ოქროს გასაღები“. მოზარდ მაყურებლის—ქართული — „შეხვედრა“, რუსული—„პირველი სიყვარული“.

კინოებში

29 ოქტომბერს: რუსთაველი—„პაერის მეეტლე“. ოქტომბერი—„ნასრედინი ბუხარაში“. დამკვრელი—„მიგდებული ბავშვი“. კომკავშირელი—„ის იცავს სამშობლოს“. სპარტაკი—„მისია მოსკოვში“. ლუქსემბურგის სახ. — „სამშობლოსათვის“, 26 კომ. სახ.—„ორიოლის ბრძოლა“.

თბილისის კინოსტუდიამ

დაამთავრა დიდი მხატვრული ისტორიული ფილმის

„გიორგი სააკაძის“

მე-2 სერიის დადგმა

სცენარი სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ანტონოვსკაიასი და ბ. ჩორნისა.

დადგმა სტალინური პრემიის ლაურეატის მიხეილ ჭიაურელისა, ოპერატორი ა. დიმიტლოვი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83 სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამოწერა-მოლაპარაკებისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 9489

ომი ევროპაში

ბრძოლა ბალკანეთისა და ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე

ლონდონი, 26 ოქტომბერი. (საკდესი).

როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ წარმატების განვითარებას. რამდენიმე სექტორში მტერი უკან იხევს, მაგრამ საკვანძო პოზიციების რაიონებში გაატარებულ წინააღმდეგობას ეწევა.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტების დაბომბვას.

რეიტერის სააგენტოს განცხადებით, მოკავშირენი ახლა ბატონობენ გერმანელთა მთელ იმ თავდაცვითს სისტემაზე, რომელიც აპენინების ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე მდებარეობს.

ლონდონი, 28 ოქტომბერი (საკდესი).

მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მერვე არმიის ნაწილები წინ მიიწევენ ძნელადგასასვლელ ადგილზე. მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავს თავისი პოზიციების ყველა მისადგომს. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაკავებულია ქალაქი ტორელა. ქალაქი კასტელმაურო გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. მფალდა და რიარდოკ მოკავშირეთა ჯარების ხელშია. ამერიკის მეხუთე არმიამ ხელთ იგდო ახალი მნიშვნელოვანი მაღლობები.

დამშეული მოსახლეობის დემონსტრაციის დახვრეტა საღონიკში

ხოფია, 27 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარული გაზეთი „უტრო“ სწერს, რომ საბერძნეთის მოსახლეობა საშიშლოდ არის განწირული. ისევე, როგორც შარშან, ადამიანები დაუძლურებისაგან ქუჩებში ეცემიან. ჩრდილეტები და პირველი საჭიროების საქონელი მხლად გაჰქრა. სალონიკში 8 ოქტომბერს მოხდა დამშეული მოსახლეობის მასობრივი დემონსტრაცია. დიდძალი ხალხი, მათ შორის ქალები და ბავშვები, განაპირა უბნებიდან ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრა. გერმანელთა საველე ჟანდარმერიამ სცადა გაეფანტა დემონსტრაციანი. იარაღის ხმარების მიუხედავად, ეს ვერ მოხერხდა. მაშინ დემონსტრაციის შესაწყვეტად ხელისუფლებამ საჰაერო განგაში გამოაცხადეს. ქალაქის ყველა მაღალი დახურულია გერმანელ ხელისუფალთა განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

###